# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.
აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

№ 62-63 ნიუ-იორკი, მარტი, 1964 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, NARCH 1964


## მწარე საუბარი აჩრდილთან

(ფიქრები თებერვალ-მარტის საბედისწერო დღეებზე).

მწარე ფიქრები წამოიშალნენ ჩვენი დაქცევის მოგონების დღეს. იმ საბედისწერო თებერვალ-მარტიდან 43 წელი გავიდა. რა გვანახა და შეგვძინა ამ თითქმის ნახევარმა საუკუნემ? რა გვასწავლა ამ მწარე გაკვეთილმა? რა შეგვიძლიან ამ განვლილიდან უანდერძოთ მომავალ თაობას?

ამ ფიქრებში გართული უნებლიეთ ბნელ კარებისკენ გავიხედავ და იქ პასუხს ვეძებ. მე ვიცი ჩემი ფერმკრთალი, დაღლილი, თვალებ ჩაცვევნილი მეგობარი, გახუნებულ ქუდში და გაცვეთილ ტანსაცმელში იქ სდგას და სიცივისაგან აბუზულა. ვიცი, მასაც იმავ 1921 წლის თებერვალი უსერავს გულს. ეს ნაღველი შავ ზოლებად შემოხვევია ქართველ ემიგრანტს და ის მდაბალი, მაგრამ ცივი ფოლადის ხმით სჭრის ჩემს ფიქრებს:

„კარგად დაუფიქრდი“, ოდნავის რხევით იწყებს აჩრდილი: „იქნებ დადგა დრო ჩვენი ცოდვების მონანიებისა და ახალ თაობის გაფრთხილებისა... ნუ თუ არ იკმარა ამდენმა უშედეგო ბრძოლებმა, სისხლისა და ცრემლის ოთხმა ათეულმა წელმა? ხომ ვხედავთ რომ მტერი გაიზარდა, მისი გავლენა და ძალა ლამისაა მთელ ქვეყანას მოედოს. ჩვენი მარაგი კი ამოიწურა და „მოწოდების ხმა“ დღესაც არავის ესმის. „იქნებ ეხლა მაინც ჩავხვდეთ ქვეყნის სიბრძნეს, რომ დამარცხებულისთვის არავის სცალია და ვინც მორალურად გვამხნევებდა დღეს ისიც კი მოსკოვისაკენ იყურება, მას მეგობრულ დახმარებას უწევს, ყოველგვარ გაჭირვების დროს და ყველგან უხვად აწვდის, რაც სჭირდება და შინ ვერ უპოვნია: აწვდის იაფად, ნისიად და მუქთად, ოღონდ კრემლმა მასაც წყალობით გადმოხედოს. აღარ გვეყოფა ამის მრავალი მაგალითები? და განა მარტო ეს? განა ამაზე უფრო შემზარავი არაა ჩვენი სამშობლოს დღევანდელი სურათი? მე გეუბნები საქართველოს ნამდვილ სურათზე და არა საგანგებოდ პარტიის და მოსკოვის ბრძანებით გადაშლილ „ბედნიერ და განლაღებულ ცხოვრებაზე“, რომელიც სიყალბეზე და მზაკვრულ სიცრუეზეა აგებული.

„დღევანდელი საქართველო ხომ თავისი ახალ ქალაქებით, მრავალსართულიან შენობებით, ქარხნებით, კომპარტიის და საბჭოების სასახლეებით, კოლექტივებათ ქცეულ სოფლებით (რაც იგივ ქარხნებია ყოფის და სულის) უსიცოცხლო, უსიხარულო ყოველდღიურობაა, ხალხი რომ უფსკრულში და უსახეობაში მიჰყავს.

„ყოველივე ეს, რასაც ერი ჯოგად უქცევია, ნაყოფია მხოლოდ და მხოლოდ იმ უწყალო 1921 წ. თებერვლისა, თავისუფლების მზე რომ დაგვიბნელა. ყველა ეს საშინელება და ბოროტება მოჰყვა იმ დღეს, რომელსაც ჩვენ სრულიად მოუმზადებელი შევხვდით და რომლის აზრი ჩვენ ვერ გავიგეთ; მოსალოდნელი რისხვა ჩვენ ვერ ავწონეთ და ერთგვარის სიმჩატით კისერი უღლში გავუყარეთ...

„ეს კი იმ იმედით ხდებოდა, რომ, თითქოს, ეს ამბები წარმავალი და დროებითი იყო, რომ სულ მალე მოწინავე კაცობრიობა, ჩვენ რომ გვიცნო და თავისუფალ საქართველოს „სადღეგრძელო“ უხვად იგემა და ინება, ამ უსამართლობას არ დაუშვებს, არ მოითმენს, მოვა და „უღელს აგვხსნის“. მაშ, ამ თებერვალში რად შევაკლათ თავი ძლიერსა და ვერაგ მტერს, როდესაც მაისში, საერთაშორისო სამართლიანობის დღეს, თავისუფლებას კვლავ ვიგემებთ!? ასე გულუბრყვილოდ ვიანგარიშეთ და „მოტყუებული“ ჩრდილოეთი რომ გვეგონა, ჩვენ შევიქმენით.

ეხლა ესეც უნდა ვაღიაროთ: ნამდვილი საფრთხე ოდნავ ვერ შევაფასეთ, დამარცხების შედეგი ვერ წარმოვიდგინეთ, თორე ჩვენი ბრძოლა ბევრად უფრო თავგანწირული იქნებოდა და ნახევრად გატეხილი მტერი თბილისის კარებს ვერ „გასტეხდა“. მეკითხები რა მოხდებოდა შემდეგ? ამის თქმა ძნელია; მაგრამ იმ წლებში, რუსულ ანარქიულ, დემორალიზებულ, მშიერ და შიშველ ჯარზე გამარჯვება ჩვენ უეჭველად შეგვეძლო. ეს მოგვცემდა ახალ ენერგიას, ეროვნული თავისუფლების ახალ წლებს, გაშლიდა შემოქმედებას და ეს უფრო შეჰკრავდა ქართველობას. მაგრამ ვიმეორებ, ჩვენ მჩატედ და მსუბუქად მივიღეთ ის „ზავი“, რომელიც 17 მარტს გამოგვიცხადეს; მისი სიმწვავე და სიმძიმე მხოლოდ შემდეგ ვიგრძენით, ოდეს „ყველაზე უფრო ნამდვილმა და წმინდა დემოკრატიამ“ ყველაზე საშინელი ბორკილი დაგვადო. როგორღაც დაგვავიწდყა, რომ 26 მაისი ჩვენი „რევოლუციების“ ნაყოფი კი არ იყო, არამედ ქართველი ერის მიერ მრავალ საუკუნეების მანძილზე სისხლიან აჯანყებებით და ბრძოლებით, მამა-პაპური თავდადებით და უამრავ მსხვერპლით მოპოვებული თავისუფლება. ჩვენ ის მივიღეთ, მისი აღდგომით გავიხარეთ, მაგრამ კარგად ვერ ვიცანით... მისი ძირები ვერ შევამჩნიეთ და წარსულის გმირობას ვერ გადავაბით, რათა ახალში წელგამართული შევსულიყავით.

„ამიტომაც დავისაჯეთ... დავისაჯეთ სასტიკად. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ რუსეთის ერთი საუკუნით ბატონობამ დაავადა (და ერთ ნაწილში) გადააგვარა მებრძოლი ქართული ბუნება და ის ნიგილიზმს, ტრადიციების და წარსულის აბუჩად აგდებას შეაჩვია. მომთაბარე ხალხთა ეს თვისება ქართულ ბუნებას, საკუთარ მიწას რომ მჭიდროთ შეზრდია, კარდინალურად ეწინააღმდეგება. მაგრამ ამგვარ წინააღმდეგობათა გარდალახვა რუსეთმა ჩვენ „რევოლუციად“ დაგვანათლა, ადვილათ გადვიტანეთ და მისი ახალი, უცხო სტიქიაც ნელ-ნელა შევითვისეთ. აი, ჩვენი მარცხის სათავე 'თებერვალი“ რომ დაგვატეხა. ეხლა მაინც მივხვდეთ ამას, მივხვდეთ და...“

და რა? რა გინდა ვითომ სთქვა?, შევაწყვეტინე მოთმინებიდან გამოსულმა. გინდა ჩვენი გზა დავაგდოთ? ქართულმა ემიგრაციამ გეზი შესცვალოს? ამას უანდერძებ ჩვენს მომავალ თაობას დაღლილო მეგობარო? შენი მწარე ფიქრები და მოგონებები ჩემს გულსაც ხვდება, ეს ახალი არაა არც სხვებისათვის. მე კიდევ უარესიც ბევრი ვიცი დღეის სურათებიდან; მისი გადაგვარება-გაქრობისაკენ მიმართულ საფრთხედან. ვიცი რა უბედურება დაატეხა თავს „მსოფლიო დემოკრატიის“ რუსულმა დეზორიენტაციამ, რუსულ ბოლშევიზმის, მისი მონგოლურ ბუნების გარკვევაში... ამან არა მარტო ჩვენი რწმენა და იმედები შეარყია, არამედ მრავალ სხვაერებისა, რომელთა საუკეთესო შვილნი, დღეს ჩვენსავით, უცხო კარებთან და ხალხში მოსთქვამენ. მართალი ხარ, რომ 26 მაისის ბუნება ჩვენ ვერც გავიგეთ და ვერც შევაფასეთ, რომ მარცხის გაკვეთილი შხამიანი და მწარე იყო, მარამ მას ხომ ტყუილად არ ჩაუვლია? აქ იყრება ჩვენი გზები დაღლილო მეგობარო. მართალია, ჩვენი თავისუფლება ხანმოკლე გამოდგა, მხოლოდ სამი წელი ვისუნთქედ სუფთა, ჯანსაღი ჰავით, მაგრამ თებერვალში მოვარდნილმა ტალღამ სულ მალე გამოგვაფხიზლა... ეს სასწაული გარედან არ მოსულა: ჩვენმა პეტიციებმა მსოფლიო დემოკრატია საბჭოების წინააღმდეგ ვერ დარაზმა, მაგრამ იმ სამმა წელმა, ძველ, ქართულ სხეულზე ამონაყარმა, ჩვენს ეროვნულ ორგანიზმში ძველი სისხლი ააჩქეფა.

დაჩოქებული, შუბლგახეჩილი ერი ხელახლა წამოდგა, ძველი ფარი მოიშველია და ხმალი იშიშვლა... პატარა სვანეთში, ასევე პატარა ხევსურეთის მთებში, სადაც ჯერ კიდევ რუსულ ნიღილიზმის „მზე“ ვერ შეჭრილიყო, კვლავ აღიმართა ძველი საქართველოს ტრადიცია და მან დაიწყო ბრძოლა 26 მაისის დასახსნელად.

ამ გზით წარმოიშვა გამრთელებული ახალი საქართველო, ძველზე, საკუთარზე დამყნილი და აღმოცენებული.

მალე ეს ბრძოლა, აჯანყება მთელ ქვეყანას მოედო და 1924 წელს მან გმირული „დიდება“ დასძახა. ეს იყო ეროვნული ჰიმნი—**პირველად და მთელი შეგნებით ნამღერი.** სულ მალე მთელი საქართველო შეთქმულთა ბანაკად იქცა და ერთის დროშის ქვეშ დადგა.. დამარცხების შედეგები მტკივნეული იყო, მაგრამ უფრო განმაცოცხლებელი. ერმა სხვა გზები ჰპოვა. ეხლა მას აჯანყება არც სჭირია და არც უნდა. მას ეხლა სხა მახვილი აუღია: ის იცავს თავის რაობას, ეროვნულ სულს და სახეს, ტრადიციებს, კულტურას და დიდ ისტორიას; ე. ი. ყველა იმ ელემენტებს, რაც ერს განაპირობებს.

არავითარი განცალკევება, დაპირდაპირება, გათიშულობა და შინაბრძოლა საქართველოში აღარ არის... ვინც ამას ხელოვნურად, მოსკოვის ბრძანებით აჩაღებს, ის, „შინაგამცემლად“ ინათლება და ირიყება.

მართალია, საკუთარ მიწა-წყალზე რუსულმა კომუნიმმა ქართველობა „გააპროლეტარა“, ჩამოაცალა ყოველგვარი ნივთიერი ქონება, დაუნგრია ოჯახი, პალატი და საყდარი, ამოუგდო მამა-პაპათა საფლავი... მაგრამ ვერ ამოაცალა მას სული, ვერ წაშალა მისი უძველესი და ბრწყინვალე ისტორია, ვერ ჩამოაცალა დავითის და თამარის საქართველოს შარავანდედი, ვერ დაჰფარა და ვერ ჩაკლა შოთას გენია და ოპიზარის ხელოვნება... ახალ „ფორმებში“ ძველი შინაარსი კვლავ აღმოცენდა. ქართველობა დღეს მზად არის კვლავ იბრძოლოს თავისუფალ არსებობისათვის, თავის ისტორიულ მიწა-წყალზე. ეს ახალი „პროლეტარიატი“ არას ჰკარგავს, გარდა თავის ბორკილებისა, ხოლო მოპოვება კი შეუძლიან მთელი მისი სამშობლოს ბედნიერებისა.. ეს „მარქსისტული ფორმულაა“, მაგრამ .არსებითად „არამარქსისტულია“, რადგან აღმოცენებულია სულზე, მხოლოდ ქართულ არსზე და ყოველგვარ მატერიის გარეშე.

ამის „პროპაგანდა“ დღეს ჩვენს ერს არ სჭირია, ის ფრთხილად, დარაზმულა და ბრძოლა ახვა და სხვა სახით ყველგან გაუჩაღებია.

საფრანგეთში ენის სიწმინდის დასაცავად სახელმწიფო და ნაციონალური აკადემია გამოსულა. სამეცნიერო აკადემიამ საგანგებო ლექსიკონი გაამზადა, სადაც ხმარებაში გაბატონებულ ინგლისურ (უმთავრესად ტექნიკური) სიტყვების შესატყვისი ფრანგული სიტყვებია შეკრებილი და მოუწოდებს ყოველ ფრანგს, განდევნოს უცხო სიტყვები. ჩვენში საბჭოთა მთავრობა ყოველ საშუალებით იცავს და ავრცელებს რუსულ, ლენინურ ენას. ჩვენი სამეცნიერო აკადემია ამაზე სდუმს, ან იძულებით კვერს უკრავს ენის შერყვნას. მაგრამ ქართული ენის სიწმინდისათვის მაინც იბრძვიან და იცით ვინ იბრძვის? მთელი ერი, მთლიანი და დაფარული ენერგიით. აქ ერთად დგანან ქალი და კაცი დიდი და პატარა; ამის ეხლა მომხდარი მაგალითი იძულებით თვით მოსკოვის პრესამ გამოიტანა. სჩანს „ჭირმა თავი ვერ დამალა“. მაგრამ ჩვენთვის, მოსკოვის ამ თავდასხმიდან გამომჟღავნდა, რომ ჩვენი ახალი თაობა, ბავშვებიც კი შეთქმულან და დარაზმულან და ენის სიწმინდის გადასარჩენად ენერგიულად იბრძვიან. ამის სურათი და გაშლილი დავა საჯაროთ, ქუჩაში უნახავს მოსკოვის კორესპონდენტს ბათუმში ყოფნის დროს. ასე იბრძვის გამრთელებული საქართველო და ათასი გასაჭირი, დევნა და ზოგიერთთა დაღლა-განდგომა მას გულს ვერ უტეხს, მოვალეობას და გზას ვერ ააცდენს. მან იცის, რომ მზე უჩრდილოთ ვერ იქნება; რა უყოთ, რომ გამოჩნდებიან ამ დროშიც დაღლილნი, სულ მოკლენი, უიმედონი, მტრის ნასუფრალს მიჩერებულნი, მისი უნებლიე მსახურნი, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ. კარგად ხედავს და სცნობს ზოგთ „კულტურულ თანამშრომელთ“, რუსეთს შეგნებულად, თუ უნებლიეთ „თანადგომას“ რომ უწევენ, საქართველოს ეროვნული ემიგრაციის სიმტკიცის გატეხას რომ ემსახურებიან და მითომ კულტურის გზით საბჭოთა კარებს აკაკუნებენ.

ამასაც ხედავს და იცის, ჩვენმა ერმა ყოველივე ეს, მაგრამ გულს ვერც ეს გარემოება უტეხს. მან ისიც იცის, რომ გამარჯვებული საბოლოოდ ის რჩება, ვინც იბრძვის და არა ის, ვინც მტერს თავს აფარებს და სურს მას „შეეგუოს“

გვესმის, ძნელი და მძიმეა ბუმბერაზ და ველურ მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, ამ „მოტორიზებულ ატილას“ ურდოების ძლევა, მაგრამ ამანაც ვერ უნდა შეაყენოს ჩვენი წინააღმდეგობა. დღეს ჩვენი უკან დახევა შერიგებას კი არ უდრის, არამედ სრულ გაქრობას, ქართველი ერის ალგვას. ამ დიდ საფრთხეს აშკარად, შიგ თვალებში უნდა ჩავხედოთ, უნდა მივხვდეთ, რომ ჩვენი ერის საფრთხე კომუნიზმიდან კი არ მოდის, რაც მარცხდება და ფერს იცვლის, არამედ რუსულ-მონგოლურ იმპერიალიზმიდან, რომელიც ჯერ კიდევ იმარჯვებს და უცვლელია. კრემლი რუსულ შოვინიზმს კომუნიზმს აფარებს. ქადაგებს და გვასწავლის, რომ ერი წარმავალი ფორმაციაა და მუდმივია კომუნიზმი, რომლის ცენტრია მოსკოვი და საბოლოო „ფორმა“ ლენინის ენით ისახება. აქედან მოდის თეორია ერთი, სოციალისტური ერის და მისი „იარაღის“, ენის შექმნისა. ეს ენა ბოლოს მოსკოვის ენა უნდა იქმნეს.

პრაქტიკულად პარტიულ-საბჭოურ აპარატების ღონისძიებანი აქეთკენ რომ მიმართულან, ამას აღწერათა სტატისტიკიდან ვხედავთ: ათ წელში რუსობა საქართველოში სამჯერ გაიზარდა, ხოლო ენის, (რუსულის) გაბატონების არე კიდევ უფრო მეტად. პარტიულ-საბჭოურ აპარატებში მუშაობა საგრძნობლად გაადვილებულა მრავლად შემოჭრილ რუს და სხვა უცხო ერთა წარმომადგენლებისათვის. როგორ? იმით, რომ მათ ურთიერთთან რუსულად დაუმყარებიათ კავშირი: წერით და ლაპარაკით. თვით პარტიულ ყრილობებზე და თათბირებზე ხომ რუსულ ენაზეა მოხსენებები და კამათი. ამ გეზს მართავს მოსკოვის პოლიტბიუროს რწმუნებული და მისი დიდი აპარატი. ყველა ესენი რუსები, ან უცხოელები არიან.

ასე უწყალოდ იდევნება „ტექნიკური“ მოსაზრებით ქართული ენა. ამას ითხოვს ეკონომიკის რაციონალური წარმართვა. ეკონომიურად კი საქართველო დიდი ხანია ცალკე ორგანიზმს აღარ წარმოადგენს. მისი წარმოების გეგმები (შვიდწლედები) არსებითად მოსკოვში მუშავდება და იქვე წყდება: რამდენი, რა და რომელ რაიონში უნდა დასთესოს, მოკრიფოს, მოჭრას, ამოიღოს, გადაამუშაოს საქართველოს კოლექტივებმა და ქარხნებმა.

ყველაფერი ეს მიდის რუსეთის ამა თუ იმ რაიონში და საქართველო ყოველი სახის სიმდიდრე-მარაგისაგან ისე იცლება, რომ მის ხალხს არც საკვები რჩება, არც აცვია და ახურავს და უბინაობით იღრჩობა. საკავშირო კომუნისტური ეკონომიკის ინტერესები მოითხოვს, რომ ნაცონალური ტერიტორიები წაიშალოს და მის ადგილას 'ოლქები“ შეიქმნენ. ხრუშჩოვმა ერთის დაკვრით, თითქოს დესტალინიზაციის ხაზით, გამოაცალა არსება და სული სტალინის კონსტიტუციით ფორმალურად აღიარებულ ამიერ-კავკასიის სამ სუვერენს: საქართველო, აზერბეიჯანს და სასომხეთს. მათ ნაცვლად შექმნილია ერთი **ეკონომიური ოლქი ამიერ-კავკასიის. ამას ავტომატიურად მოჰყვა ამიერ-კავკასიის კომპარტიის ბიურო, რომლის თა**ვმჯდომარედ მოსკოვმა ამხ. ბოჩკაროვი წარმოგზავნა. ეს არის დღეს ამიერკავკასიის ნამდვილი მმართველი და ბატონი, რომელსაც ექვემდებარებიან საქართველოში მჟავანაძე და სასომხეთ-აზერბეიჯანში კი მათი პარტ. პირველი მდივნები. ამ „ნამესტნიკს“, ბოჩკარიევს შექმნილი აქვს ამიერ-კავკასიის ოლქის პარტიული და ეკონომიურ-ფინანსიური აპარატები რუსეთიდან მოყვანილი მოხელეებისაგან. რასაკვირველია, საქმის წარმოება, მოლაპარაკება და ყოველგვარი ურთი-ერთობა სამივე რესპუბლიკის ცენტრში, ანუ **„ოლქის ცენტრში“** თბილისში, სწარმოებს რუსულ ენაზე.

ეს უამრავი ხალხი შემოჰყავთ რუსეთიდან მაშინ, როდესაც საქართველოდან ახალგაზრდობა და სპეცები შორეულ რუსეთის და ციმბირის მხარეებში იგზავნებიან. ჩამოსული უცხო ელემენტი, (მაგ. გორის ერთ საქსოვ-სართავ კომბინატში **ოცზე მეტი სხვადასხვა ეროვნების მუშები მოუყვანიათ)** მკვიდრდებიან ოჯახურადაც საქართველოში და მალე ხდება მათი ურთი-ერთში აღრევა, დაცოლშვილება. ყველა ეს მუშები რუსული ენით უკავშირდებიან ერთი-მეორეს: მალე მათთვის ჩნდება კლუბები, თეატრები, კინოები, სკოლები და, რასაკვირველია, მხოლოდ რუსულ ენაზე.

## მწარე საუბარი აჩრდილთან.

(დასაწყისი იხ. პირველ გვ.)

ასე აჭრელებს შეგნებულად და მზაკვრულად მოსკოვი საქართველოს ეროვნულ ტერიტორიას უცხო ელემენტებით და რუსულ კულტურით და სურს საქართველოში მალე ქართველთა რიცხვი უმცირესობამდე დაიყვანოს. კრემლის გეგმით გვეცლება ენა ტერიტორია, ეს ორი მთავარი საყრდენი ერისა.

ამ საშინელი განსაცდელის ჟამს ჩვენ განა უნდა ვდუმდეთ და შერიგებაზე ვფიქრობდეთ, ჩემო დალლილო მეგობარო? რა დროს საყვედურებია ძველ შეცდომების გამო? საამისო დრო დადგება და ისტორიის პირუთვნელ მსჯავრს ვერც ჩვენი თაობა აცდება. მაგრამ დღეს გოდების დრო არაა, თორემ იმასაც გამოგვაცლიან, რაც დაგვრჩა. მაშ რაზე ვიფიქროთ, რა ვქნათ? ერთად დავდგეთ, ყველანი შევძრათ და ვიყვიროთ, ჩვენი ერის ტკივილები ქვეყანას ვამცნოთ. დღეს მოსკოვმა აფხაზეთში რუსული ანბანი შემოიღო. საქართველოს ამ აკვანის, მისი უძველესი და უმშვენიერესი კუთხის გარუსების მიზნით. ხვალ ამასვე გვიმზადებს სამხრეთ ოსეთში და ჰეგლეჯს, აქუცმაცებს ისე დაც დაუძლურებულ ქვეყანას. ყველას, ყველას და ყველგან უნდა მოვდოთ მოსკოვის ეს მზაკვრული გეგმები, ავაცალოთ მის კომუნისტურ „მესიანიზმს“ ნიღაბი და კრემლის ჭეშმარიტ შოვინისტური, იმპერიალისტური და ყველაზე ვერაგი კოლონიალური პოლიტიკა ნათელვყოთ. ამავე დროს ყველა ჩვენს დღეში და ყოფაში ჩაცვენილ, დევნილ ერის შვილებთან, დღეს რომ ემიგრაციაში ჩვენებრ იტანჯებიან, მჭიდრო კავშირი გავაბათ; ვამცნოთ ჩვენი და გავიცნოთ მათი ვინაობა და ტკივილები, შევქმნად საერთო ფრონტი და ვემზადოთ დიდ და საერთო ბრძოლისათვის, რაც გარდაუვალია. ერთის წუთითაც არ იფიქროთ, რომ რუსეთი შესძლებს მსოფლიო ისტორიის ჩარხის უკუღმა შებრუნებას... მის დროებით დარტყმებს, სატელიტებს და ასტონავტებს შიმშილი, შავიჭირი, ომი და კატასტროფა მოსდევს. გარედან და შიგნიდან ტირანიის მესაფლავეთა რიცხვი საათობით იზრდება. სადღაა დღეს მონოლიტური კომუნისტური არმია? ის აშკარად ორად გაირღვა და ურთი-ერთის გასაგმირავად ლესავს მახვილს. „ევრაზიულმა“ რუსეთმა ევროპაში ფეხი ამოიკვეთა, იქ მხოლოდ მისი ჩუმი მტრები,—სატელიტებია, რომლებიც მარჯვე დროს უცდიან. აზიიდან კი მარჯვედ ერეკება დიდი ჩინეთი, ციმბირზე რომ უკვე აშკარად დაობს...

ამ დროს ჩვენ დავზავდეთ და საქართველოს განუდგეთ? ვინ გვაპატივებს ასეთ ნაბიჯს? საქართველო თავისუფლებას მაინც დაიბრუნებს და ჩვენს ამბებს რომ ამოიკითხავს, ის ჩვენს „რყევაზე“ არ უნდა შეწუხდეს და მით უმეტეს არ უნდა გაწითლდეს. ჩვენი გზა მხოლოდ წინაა... მხნედ და ისევ ბრძოლისაკენ ჩემო დალლილო მეგობარო...

აქ მე შევამჩნიე, რომ აჩრდილი შეირხა, ის ნელ-ნელა იმართება, თავს ზევით სწევს და მე მგონია დამეთანხმა. მე ვფიქრობ, რომ სადაო ამოვწურეთ და იმედი ჩაგვიდგა.

შენ რას ფიქრობ მკითხველო?

**გ—ა უტეხელი.**

## მშვიდობის მაძიებელი.

მას შემდეგ არც ისე დიდი ხანია, რაც ხრუშჩოვი, თუ ყოველთვის არა, ხანგამოშვებით მაინც, საომარ გუნებაზე იყო და ხშირად წარმოთქმულ გრძელ სიტყვებში კაპიტალისტურ მწყობრს მოსპობით და დამარხვით ემუქრებოდა. თავის „სპუტნიკებით“ ისეა გათავხედებული, რომ საბჭოთა კავშირი ერთ უპირველეს და უძლეველ საბრძანებლად მიაჩნია. სხვებისაგანაც მოითხოვს, რომ იცნონ მისი სამხედრო საჭურველის ძლევამოსილება. თუ რამდენათ შეეფერება სინამდვილეს მისი ეს განდიდებული წარმოდგენა, დღემდის სარწმუნოდ არავინ უწყის. ვთქვათ აშკარად: ზოგ დასავლეთის მეთვალყურეს და საბჭოთა საქმეებში ჩახედულთ საეჭვოდ და გადაჭარბებულად ეჩვენებათ, ხოლო კომუნისტური პროპაგანდით გაბრუებულ აზიის, აფრიკის და სამხრეთ ამერიკის ხალხებისათვის, ახლად შექმნილი სახელმწიფოებისათვის უდაო ჭეშმარიტებათ არის გადაქცეული და საბჭოთა კავშირისკენ იშვერენ ხელებს ფულადი და სამხედრო დახმარებისათვის. პირველი მსხვერპლი ამ ფუყე ილუზიების, ფიდელ კასტროს კუბა გახდა. ხრუშჩოვის დაპირებულ დახმარებით გაკადნიერებული კასტროც, ჩრდილო ამერიკას დაქცევით ემუქრებოდა და სამხრეთ ამერიკის ხალხებს კი კაპიტალიზმის უღლიდან განთავისუფლებას პირდებოდა.

როცა საქმე საქმეზე მიდგა, ამერიკამ ხელი გამოიღო და მოლანდებულ საფრთხეს რეალური ძალა დაუპირდაპირა; შეშინებულმა ხრუშჩოვმა უკან დაიხია, პირდაპირ შებმას გაცლა ამჯობინა და მთელი თავისი სამხედრო იარაღი რომელიც კუბაში მალულად შეზიდა, კასტროს დაუკითხავად, უკანვე გამოზიდა, რამაც ფიდელ კასტრო ძალიან გააგულისა.

აქედან მოყოლებული ხრუშჩოვი ქადაგად დაეცა: ყველას, მტერს და მოყვარეს, თავდაუსხმელობის პაქტს, მშვიდობიან თანაარსებობას სთავაზობს. რაშია საქმე, რა მოხდა ისეთი, რომ ხრუშჩოვმა ასე უეცრად ნირი იცვალა? მაშინ, როდესაც თავისუფალი მსოფლიო, თითქმის, როგორც ვულგარულად იტყვიან, „ისპუგზე“ ჰყავდა აყვანილი, მოულოდნელად თვით გახდა შიშის ზარით შეპყრობილი. ეს მეტად ადვილი მისახვედრია: ამერიკის შეიარაღებულ ძალის უპირატესობამ, განსვენებულ პრეზიდენტ კენედის მტკიცე გარდაწყვეტილებამ,—საერთაშორისო კომუნიზმის საფრთხის თავიდან ასაშორებლად, ამერიკის უზრუნველსაყოფად, საჭირო შეიქმნა მკაცრი ზომების მიღება, თვით ატომური იარაღის გამოყენებით. ამან ანაზდეულად ხრუშჩოვს ფრონტი შეაცვლევინა და საერთო განიარაღების ჰანგზე დააწყებინა მღერა. ასე იცის რეალური ძალის დემონსტრაციამ: აშვებულს დააბამს და დააჭკვიანებს.

„შეუნელებლად უნდა განვაგრძოთ საერთაშორისო, სადაო პრობლემების მშვიდობიან მოლაპარაკებით მოწესრიგება და არ მივმართოდ უხეშ ძალას“, იუწყებიან მოსკოვის გაზეთები. ხრუშჩოვმაც ისარგებლა საახალწლო მილოცვებით და უცხოეთის მთავრობებს მიმართა ძალიან გრძელი წინადადებით ამ ქვეყნად მშვიდობის დასამყარებლად, სადაო საკითხების უბრძოლველად გადასაჭრელად, გაზეთებსაც მისცა ვრცელი ინტერვიუ პაციფისტურ თემაზე, მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ ამ მიმართვის მიზანია ხელშეკრულების დადება, სადაც უარყოფილი იქნება სამხედრო ძალის გამოყენება, სახელმწიფოთა შორის სადაო ტერიტორიულ საკითხების მოსაგვარებლად სხვა უფრო მწვავე საკითხები, არა ნაკლებ საცილო, ჩრდილშია მიტოვებული და ბურუსით დაფარული.

მიუხედაკათ მიმართვის სივრცის და გაჭიანურების, ხრუშჩოვი, თითქმის ახალს არაფერს ამბობს, რაც მრავალჯერ არ იყვეს მისგან წლების განმავლობაში ნათქვამი. ის დაჟინებით მოითხოვს კრემლის ტრადიციულ შეხედულებათა თანახმად, ომის შემდგომ ჩადენილ შეცდომების და შექმნილ არა ნორმალურ მდგომარეობის გამოსწორებას. „ტერიტორიალური საკითხების მართებულად გადაჭრას“, ჯერ კიდევ კოლონიურ უღელ ქვეშ მყოფ ხალხების განთავისუფლებას და დამოუკიდებლობის მიცემას, რისთვისაც ასე თავგანწირვით იბრძვიან თავისუფლებას მოწყურებული ერები.

აქ ადვილად შესამჩნევია ის განსხვავება, რის მიხედვითაც ხრუშჩოვი სახელმწიფოებს აჯგუფებს და სოციალურ კატეგორიებათ ყოფს. უხეში ძალის გამოყენება დასაშვები და კანონიერია იმ ტერიტორიების მიმართ, რომელიც ჯერ კიდევ თავისუფალი არ არიან და კოლონიურ ოკუპაციის ქვეშ იმყოფებიან. აქეან გამორიცხულია ის ქვეყნები, რომელნიც, გარემოების ძალით, ორათ არიან გაყოფილნი და დიდი ხანია გაერთიანებას ელოდებიან. ყველაზე მეტი დანაშაული ამ სახელმწიფოთა (გერმანია, კორეა, ვიეტნამი და სხ.) ორათ გაყოფის საბჭოთა კავშირს ედება. ომის გათავების შემდეგ სტალინმა უამრავ ტერიტორიებს დახვია ხელი და საბჭოთა კავშირის საზღვრებში მოაქცია (აღმოსავლეთ პრუსიის მოზრდილი ნაწილი,-კონიგსბერგით, პოლონეთის აღმოსავლეთის ზოგიერთი პროვინციები, ბესარაბია და ბუკოვინი—რუმინიის პროვინციები და სხ) კარპატის რუთვინია-უკრაინელები, რომელიც უწინ ჩეხოსლოვაკიას ეკუთვნოდა, ფინლანდიის ერთი მოზრდილი ნაწილი (კარელის მხარე), ტანუ-ტავა (მონგოლეთის), კურილიის, სახალინის და სხვა კუნძულები. ჩაყლაპა ბალტიის სახელმწიფოები და უფრო ადრე დაიპყრო და საპყრობილეში დაამწყვდია ყველა თავისუფალი ერები უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, სასომხეთი, აზერბაიჯანი და აზიური რესპუბლიკების მუსულმანური ხალხები, რომელნიც ისევე ელიან განთავისუფლებას, როგორც სხვა კოლონიალური ხალხები. თვით აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოები (რუმინია, ბულგარია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია და სხ.) იბრძვიან, რომ ხელიდან გამოუსხლტნენ მოსკოვის ცენტრისტულ მარწუხებს, სწორედ ყველა ესენი გამორიცხულია ხრუშჩოვის „მართებულ და სამართლიან“ განაჩენისაგან. მაშასადამე, საბჭოთა კავშირი ხელშეუხებელია ყოველგვარი სამართლიანი მოქცევისაგან და მთელი სატელიტ სახელმწიფოების, შიგნით საპყრობილეში მოქცეულ ერების ბედი უცვლელი უნდა დარჩეს. მაშინ რაღა აზრი აქვს სხვაგან სამართლიანობის სარჩიელის წარდგენას, როცა ის თვით არის უსამართლობის განსახიერება და რკინის სალტეებით შემორაზული ციხე-სიმაგრე.

მაინცა და მაინც არც სხვა საცილობელ ტერიტორიებზეა რაიმე კონკრეტულად ნათქვამი. მაგ. არ არის გარკვეულ საშუალებებზე მითითებული, თუ როგორ უნდა დაუბრუნდეს ფორმოზა (ტაივანი) კომუნისტურ ჩინეთს? ძალით თუ ნებაყოფლობით? არც ის არის აღნიშნული თუ რა პირობებში, ან როგორი გარანტიით უნდა მოხდეს სხვადასხვა სახელმწიფოში არსებული სამხედრო ბაზების მოშლა, რომელიც, მართლაც ნებაყოფლობით ხელშეკრულების საფუძველზეა დამყარებული და მათვე თავდაცვით ინტერესებს ემსახურება.

მიმართვის ტექსტის უფრო ყურადღებით გადაკითხვა დაგვარწმუნებს, რომ აქ უმთავრესად ნაგულისხმევია ორი ქვეყნის შორის წარმოშობილი კონფლიკტი, რომელიც მხოლოდ მათ ეხებათ, სადაც დაპირისპირებულია დაახლოვებით ორი თანაბარი ძალა, ისტორიულ რასიულ და რელიგიურ უთანხმოების ნიადაგზე წარმოშობილი. მაგალითად, ჩვენის აზრით ეს უნდა ეხებოდეს ისეთ კონფლიკტებს, როგორიც არის ალჟირ-მაროკოს, ავსტრო-იტალიის, ჩინეთ-ინდოეთის და სხვა ამგვარ დავას. ხრუშჩოვიც ალბად ასეთ უთანხმოებებს გულისხმობს და მათ მოუწოდებს, ეს სადაო ტერიტორიალური საკითხები გადაჭრან უიარაღოთ, მოლაპარაკებით და მშვიდობიანი გზით. ამასთანავე მათ მოაგონებთ, რომ ეს არ ღირს რათა ამის გამო ომი გაჩაღდეს და სისხლი დაიღვაროსო.

უნდა ვიფიქროდ, რომ რადგან მილოცვებში არაფერია ნათქვამი, ამიტომ ,საბჭოთა კავშირის შიგნით და სატელიტებში რჩება შექმ-

## ქართველი ქალი საბჭოთა საქართველოში.

### ქართველი ქალი და „რვა მარტის დღესასწაული“

(წერილი პირველი).

„მისთვის, რომ მე ვარ დედა
შენიც და ქართლის დედა“.
**ილია. („ქართლის დედა“).**

ბევრი თქმულა და უფრო ბევრი დაწერილა იმაზე, რომ საქართველოს უძველესი ერი, დღეის კულტურულ ცხოვრებას რომ შემორჩენია,—ოჯახმა მოიტანა.

სანამ სდგას ოჯახი, სდგას ერი.

რა საჭიროა გავიხსენოთ და მოვიტაოთ მაგალითები ჩვენი ისტორიული წარსულიდან? გრძელ გზიდან, რომლითაც ქართველობას სახელოვნად უვლია, მრავალი სიმწარე და აწიოკება უნახავს, მაგრამ დიდ ხიფათს, მოზღვავებულ ძლიერ მტრებს, მაინც გამკლავებია და ბოლოს გამარჯვებულიც გამოსულა. საამისოდ მას ჰქონდა ატანის და გამძლეობის „თილისმა“, რომელიც ვერც ერთმა მტერმა და მოღალატემ ვერ წაართვა. ეს ურყევი საძირკველი და „თილისმა“ იყო და არის ქართული ოჯახი და მისი „დედა-ბოძი, ქართველი დედაკაცი“, უკვდავმა ილიამ რომ გაგვიცოცხლა და მას „შვილის დედაც და ქართლის დედაც“ უწოდა... რაც უნდა ძლიერი იყოს მტერი და ხანგრძლივი მისი ბატონობა, ვიდრე ქარველი ოჯახი შეხიზნულია და თავი შემოუნახავს, ვიდრე ქართველ დედას მის კერაზე ცეცხლი არ ჩაუქრია, ერი ცოცხლობს, მას ხიფათი აცდენია...

ეს უნარი და თვისება ჩვენი ოჯახის დედაბოძისა,—ქართველი ქალისა, თავიდანვე არ გამოპარვია ჭკვიან და მზაკვრულ დიდ მოხელეს, კავკასიის მთავარმართებელს, ცნობილ მიხეილ ვორონცოვს. ეს იყო საქართველოს ანექსიის შემდეგ, ოდეს ერი რუსეთის ბატონობას და ჩვენი სამეფოს მოსოპბას არ ურიგდებოდა, ღელავდა და აჯანყების ცეცხლს აჩაღებდა. და ოდეს თავადი ბარიატინსკი, კავკასიის ახალი მთავარმართებელი, თბილისისაკენ მიემართებოდა, ის გამოცდილ მიხ. ვორონცოვს კეთილ რჩევას ჰკითხავდა... და იცით რა რჩევა მისცა „საქართველოს მცოდნემ“ დიდმა მოხელემ ბარიატინსკის? მან ურჩია: თუ თქვენ მართლა გსურთ საქართველოს 'დაპყრობა“ და გინდათ ქართველი ხალხის რუსეთის ერთგულებაზე მოქცევა, თქვენ **უპირველეს ყოვლისა უნდა შეეცადოთ როგორმე ქართველი ქალის გულის მოგებასო...**“ (იხ. „მებრძოლი საქართველო“ №17, გვ. 20, 1953 წლ.-

ასეთი დიდი ყოფილა თავიდანვე ქართველი ქალის როლი ეროვნული სულის და ოჯახის დაცვის საქმეში.

ვიმეორებთ: საჭირო არ არის საამისო უამრავი მაგალითების მოტანა ჩვენი მატიანედან; ეს ისედაც ცხადია... მაგრამ მე მეშინიან ამ მაგალითების მოძიების დღეის საქართველოში. ვაი, რომ დღეს მტერმა, უცხომ და სახიფათომ სწორედ ამ „საძირკველზე“ მიუშვა წყალი, დიდი ნიაღვარი და მის დაშლას და გამონგრევას ლამობს. სუსტდება, უძლურდება ქართველი ქალი; ჩრდილოეთიდან მოვარდნილი ნიაღვრის დიდი ტალღები 40 წელზე მეტია საშინელის ძალით ასკდება ქართულ ოჯახის დღეს უკვე შერყეულ საძირკველს.

ჩვენ კარგად გვესმის ქართველი ქალის „8 მარტის ხოტბებში“, „თებერვალ-ოქტომბერის ჰიმნებში“ დიდი კვნესა, და უფრო დიდი შიში მშობლიურ ოჯახის რღვევის გამო.

აქაც აღწევს მისი სასოწარკვეთილი ყიჟინა: „გვიშველეთ, ვიძირებით!...“

ვხედავთ „ჩაისა და დაფნის ფოთოლის მკრეფთა, ძროხების მწველთა, ღორების და ქათმების მზრდელთა, ამ „დამკვრელ“ ქალთა მედლების და ორდენების ქვეშ მთრთოლვარე და აძგერებულ გულს!... კარგად ვამჩნევთ ნამდვილი გულის ცემას ქართველი დედისას, საკუთარი ოჯახი რომ დაუნგრიეს, კერა ჩაუქრეს, ქმარს მოაშორეს, შვილებს მოსწყვიტეს.. გვესმის მისი შფოთვა და დაფარული შიში, რომ მას მეტის ატანა აღარ შეუძლიან.

ხოლო ისინი, ვისაც ძალა და „შეძლება“ აქვს, სდუმან და თითსაც არ ანძრევენ... და ეს მაშინ, როდესაც ეს ქართველი ქალი, აქამდე რომ სახელმოხვეჭილი იყო და თავისი ფაქიზი სულით, მხნეობით, ნატიფი სილამაზით, განუხრელის ერთგულებით და სათნოება-სიყვარულით მსოფლიოშიც ცნობილი იყო, აი, ეს ქართველი ქალი დღეს საბჭოთა კავშირის დიდ მორევში იძირება... უყურებს ამას მთელი ქვეყანა და სდუმს; და თან გულგრილათ ფურცლავს და კითხულობს მოსკოვის მიერ გავრცელებულ „8 მარტისთვის“, საბჭოთა ქალის ამ საგანგებო დღისთვის გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებს. კითხულობს ზღაპრებს საბჭოთა ქალის „ზღაპრულ ბედნიერებაზე“. ეს გამოცემები, ყველგან ასე უხვად და ურცხვად რომ ვრცელდება, მუდამ '8 მარტის გმირ ქალთა“ სურათებითაა დამშვენებული და თქვენ აქ ხედავთ, რომ 'შრომის გმირთა“ მკერდები მოფენილია ორდენებით და მედლებით. ეს ის გმირებია, რომლებიც წარჩინება-კარიერის ძიებაში საკუთარ ოჯახს თანდათან ჩამოშორდნენ და თავისდა უნებურად, სულ სხვა ხზით კოლექტიურ ტალღებს მიყვებიან.

***

რამ შეურყია საძირკველი სამი ათასი წლით ნაკურთხ, თავშენახულ ქართულ ოჯახს? დამპყრობი და ამაწიოკებელი ხომ წინადაც უამრავი უნახავს: მაგრამ იგი მტერი ქარიშხლად გადივლიდა, გადაბუგავდა, მძიმე ხარკით დატვირთავდა და გაშორდებოდა; დასტოვებდა მცველ ჯარს და ნოინებს ლაშქარში დამხმარეთა და ხარკთა შესაკრებად. ოჯახი კი ისევ ოჯახად რჩებოდა და ქართველი დედა კვლავ აჩაღებდა კერას, საკუთარ ჭერ ქვეშ აკვანს არწევდა და „მამულსა უზრდიდა შვილსა“

დღეის მტერმა მთელი სურათი შესცვალა: საკუთარი კერა ჩაუქრო, ოჯახს შინაარსი ამოაცალა, ქონება და საკუთრება აართვა და ხელოვნურად სოფლის გლეხიდან „პროლეტა-

სადაც ქმარი ცალკე და ცოლი ცალკე გარბიან სამუშაო ადგილებზე და „ბრიგადირები“ მათ მუშა დღეს, „საათებს“ ინიშნავენ, ბულალტერები თვეში ერთხელ, თუ ორხელ აჯამებენ და კილოობით მარცვლეულს უთვლიან, რომ „პირუტყვად“ ქცეული მუშა ქალი და კაცი შიმშილით არ მოკვდეს და კოლექტივს მუშა ხელი არ დაეკარგოს. ბავშვები? ბავშვები ან თავისთვის მარტონი, შიშველ-მშიერნი, სანახევროდ ქუჩაში ჰყრიან, ან ისინიც რამე სამუშაო წერტზე მიუმაგრებიათ; ხოლო სულ მცირეწლოვანნი „ბაგებში“ მოუთავსებიათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილი მდგომარეობა, არსებული „სტატუს ქვო“. ასეთ წინადადებას შეგვიძლიან წინაღუდგეთ და არ მივიღოთ, რადგან ის არანაირად არ ეხება თვით საბჭოთა კავშირს, რადგან მას არა აქვს ვინმესთან ტერიტორიალური დავა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველო-სასომხეთის მიწა-წყალს, რომელიც ეხლა ოსმალეთის საზღვრების შიგნით არის მოქცეული, რომლის შემოსაერთებლად ომის შემდეგ დიდი დემონსტრაციები იმართებოდა ტფილისში და ერევანში და გაზეთებში ფიცხელი კომპანიები ტარდებოდა მის დასაბრუნებლად. ეს უკვე წარსულს ეკუთვნის და არა გვგონია საბჭოთა კავშირმა დავა აუტეხოს ოსმალეთს და მოსთხოვოს კუთვნილებისამებრ მისი უკან დაბრუნება, თუნდაც მშვიდობიანი მოლაპარაკებით. ხრუშჩოვის აზრის თანახმად, თუ ის მიღებული და გაზიარებული იქნება, არც სხვა საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა ასეთი ტერიტორიული მოთხოვნილება წაუყენონ, მათი ასეთი პრეტენზია წინასწარ უარყოფილია. რა თქმა უნდა ზოგადათ, ხრუშჩოვი სრულებით არ უარყოფს, რომ არ არსებობენ სახელმწიფოთა შორის სადაო ტერიტორიები, მხოლოდ გმობს ძალადობას და უხეში ძალის გამოყენებას მათ გადასაჭრელად. ერთხელ კიდევ, ხრუშჩოვი სხვისთვის კანონებს სთხზავს, ხოლო ეს მისთვის სავალდებულო არ არის, ის ყოველ კანონ გარეშე მდგომია!

როგორია პრაქტიკული მნიშვნელობა ასეთი ინიციატივისა? უეჭველად ევროპისათვის, უფრო სწორედ, დასავლეთისთვის სრულიად უმნიშვნელოა.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და ოფიციალური წრეები, როგორც ყოველთვის, ხრუშჩოვისაგან უფრო მეტს ელოდნენ და არ გაამართლა იმედები. მათი რეაქცია ჯერჯერობით იმედის გაცრუებით ხასიათდება. ახლანდელ შენელებულ ატმოსფეროში ყველას ეგონა ხრუშჩოვი რაღაც ნიშანდობლივ, ისტორიულ ჟესტს გააკეთებდა, საერთო დამშვიდებისათვის, რაღაც არაჩვეულებრივ ახალ ნაბიჯს გადადგავდა. როგორცა სჩანს ყველანი მოტყუვდნენ. მან სოციალისტურ სამყაროს და თავისუფალ მსოფლიოს ძალიან მოძველებული წინადადება მიუძღვნა. უხეში ძალის გამოუყენებლობა სადაო საკითხის გადასაჭრელად ძველის-ძველი ამბავია, უკვე ამისდაგვარი დებულება შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიაში და სხვა პაქტებში და დადასტურებულია და ხელმოწერილი ყველას მიერ და მათ შორის საბჭოთა კავშირის მიერაც.

პირიქით, ზოგიერთ სახელმწიფოებში შესაძლოა უკმაყოფილებაც კი გამოიწვიოს. ამ წინადადებით კომუნისტური ჩინეთი, არაპირდაპირ, მოხმობილია ინდოეთთან ტერიტორიის და საზღვრების დავა მორიგებით გაათაოს და მათ მოსაგვარებლად იარაღს არ მიმართოს. ამით მოსკოვი ხრუშჩოვის პირით დიდი ქვეყნის და თავის პრესტიჟს ცუდ,გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს, რადგან, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა მაოს ჩინეთი ხრუშჩოვის 'მშვიდობის პოლიტიკას“ არ მიიღებს და ჩინეთის წინააღმდეგ იმპერიალისტებთან შეთქმულებათ ჩაუთვლის და როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის გამყალბებელს და მოღალატეს საქვეყნოდ გამოაჭენებს.

ჩვენ გვგონია, არც არაბთა სახელმწიფოები იქნებიან ხრუშჩოვის მადლიერი, სწორედ ტერიტორიების შესახებ მათაც აქვთ ანგარიშები გასასწორებელი და არავითარი საფუძველი არ არსებობს ვიფიქროდ, რომ ეს მშვიდობიანი გზით და სისხლის დაუღვრელად შესაძლებელია მოგვარდეს.

ამჯერათაც „მშვიდობის მაძიებელი“ ხრუშჩოვი „უდაბნოსა შინა სამართლიანობის მღაღადებელი“ ბრძოლის ველზე განმარტოვებული დარჩა თავის არაკონკრეტული წინადადებით და დარჩება მუდმივ, ვიდრე არ მოისპობა ის მიზეზები, რომელიც ნორმალურ ურთიერთობის დამკვიდრებას აფერხებს.

არ შეიძლება ხანგრძლივი მშვიდობიანობის დამყარება, ვიდრე კონტინენტის ერთ ზონაში ერთა თავისუფლება ძლევამოსილებით გზას იკაფავს, მაშინ როდესაც, მეორე ზონაში, სადაც ყველაზე მეტს გაჰკივიან ერთა თავისუფლებაზე და კოლონიურ რეჟიმის სრულ ლიკვიდაციაზე, ერთა თავისუფლება თავწაკვეთილი და ბორკილებშეყრილია და კოლონიური ექსპლოტაცია უფრო მკაცრია, ვიდრე ოდესმე სადმე ყოფილა.

ხრუშჩოვის დღევანდელი წაჩოქება და 'თანაარსებობის“ ქადაგი გამოწვეულია არა კაპიტალისტურ ქვეყნებთან გულწრფელი დაზავების სურვილით, არამედ დროის მოსაგებად, სამხედრო პოტენციის დასახვავებლად, მსოფლიოში სიმპატიების მოსახვეჭად და საერთაშორისო ბატონობის მოსაპოვებლად.

ხრუშჩოვი შექმნილ წინააღმდეგობას თავს ვერ დააღწევს, თუ საბჭოთა კავშირში ჩამწყვდეული ერების საკითხს რადიკალურათ არ გადასჭრის. სატელიტების, გერმანიის და სხვათა ბედიც უნდა გამორკვეულ იქმნეს და თავისუფალი არჩევნებით გადაწყდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც რუსეთი და ვერც კაცობრიობა ვერ აიცდენს ომს, მთელი თავისი მრისხანებით. ერთა თავისუფლების იდეა კაცობრიობის ერთი კუთხის, ერთი ზონის კუთვნილება არ არის და ის რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებზეც უნდა გავრცელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამდენ უსამართლობით დამძიმებულ ხრუშჩოვის სამფლობელო მოახლოვებულ კატასტროფას თავიდან ვერ აიცდენს.

ს. ჭირაქაძე.

## „არა მკითხე მოამბენი...“

(წერილი მეოთხე).

1921 წ. თებერვლიდან, ე. ი. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პირველი დღიდანვე ქართულმა ინტელიგენციამ, და კერძოდ მწერლებმა განსაკუთრებული პოზიცია დაიჭირეს: მათ არ სცნეს საოკუპაციო ხელისუფლება და განზე გაუდგნენ მას. მათ მოსათვინიერებლად ხელისუფლებამ პოლიციური ზომებიც კი მიიღო და ისენი აიძულა ე. წ. „თანამგზავრობის“ გეზი აეღოთ. სულ მოკლე ხნის შემდეგ ხელისუფლებამ მოსთხოვა ქართველ მწერლებს რათა მათ „თანამგზავრობაც“ უარეყოთ“ და კომუნისტურ მასაში არეულიყვნენ. საკმაო მსხვერპლის შემდეგ ქართველი მწერლები თავის უბედობედს შეურიგდნენ და მწერალთა კავშირი მთლიანად პარტიულ ბიუროკრატიას დაუმორჩილეს. ამ პერიოდში შეიქმნა პარტიულ კომუნისტური პროლეტარული მწერლების“ ორგანიზაცია, რომლის ერთმა წარმომადგენელმა „რევოლუციონური ფსიქოზის“ ენტუზიაზმში დაიძახა: „დედას თავს მოვჭრი, მამას დავარჩობ, თუ მიკარნახა რევოლუციამო“. შემდეგ „რევოლუციური ფსიქოზიც განქრა და თვით „პროლეტარული მწერლებიც“ მიეცნენ ქართული შემოქმედებით დინჯ მუშაობას.

„პროლეტარული მწერლების“ ნიჭიერი წარმომადგენლები 1927 წ. სხვადასხვა ორგანოებში ათავსებდნენ ქართული ლიტერატურის ნარკვევებს. 1931 წ. კი დ. ბენაშვილის, შ. შავგულიძის, ფრ. ნაროუშვილის და პლ. ქიქოძეს რედაქციით გამოვიდა წიგნი: 'ბრძოლა კლასიკოსებისათვის“.

კომუნისტური პარტიული ახალგაზრდობისათვის ეს იყო პირველი ცდა, რათა ობიექტიურად შეესწავლათ და შეეფასებინათ ქართული ლიტერატურის ქურუმები.. აქ კი ფ. მახარაძემ ვეღარ მოითმინა და მთელი თავისი რისხვა თავს დაატეხა, როგორც თავის პარტიულ ახალგზრდა მეგობრებს, ისე მთელ ქართველ მწერლებს. არა, ეს არ გაგივათ პატივცემულო მოქალაქენო, კოტეტიშვილებო, კაპანელებო და სხვანოო“ (იხ. გაზ. „კომუნისტი“ 27 ოქტომბერი 1931 წ.) დასძახა „ბებერმა მელამ“. „თუ მათ დაუჯერებთ“ აცხადებს ფ. მახარაძე, „ილია ჭავჭავაძე თურმე ყოფილა ქართულ ლიტერატურაში ჭეშმარიტი ღაღადება თავისუფლებისა, თანასწორობისა, შრომის პატივისცემისა, რევოლუციისა და სოციალიზმისა“. „ეს საკითხი, ჩვენთვის, მარქსისტებისათვის, უკვე თითქმის სამი ათეული წლების უკან გადაჭრილი იყო. მიუხედავათ ამისა, დაძველებულ და ყალბ შეხედულებას თერგდალეულების და იმათ რიცხვში ი. ჭავჭავაძეს შესახებ ახლაც ყოლია მომხრეები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში... ეს ის ხალხია, რომელიც ჩვენ ბოლშევიკ-ლენინელებს იდეოლოგიურ ფრონტზე წარსულშიც გვებრძოდნენ, და როგორც სჩანს, ახლაც გვებრძვიან იმ განსხვავებით, რომ წინედ ისენი გვებრძოდნენ ნაციონალ-დემოკრატების, სოციალ ფედერალისტების და მენშევიკების პარტიების სახელით, ეხლა კი იმავე როლს წარმატებით ასრულებენ გარეგნულად, თითქოს, როგორც ყოველივე პარტიის გარეშე მდგომნი“. (ყველა აქ მოყვანილი ციტატები ამოღებულია ზემო დასახელებულ გაზეთში გამოქვეყნებულ ფ. მახარაძეს წერილიდან: „მდგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში“. შემდეგ ფ. მახარაძე ტუქსავს თავის პარტიის ახალგაზრდა წარმომადგენლებს და ბრძანებს: „ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, ბურჟუაზიულ-თავად აზნაურულ ფედერალისტურ ინტელიგენციამ ,მაშინ ხმა გაკმინდეს, კამათს დუმილი ამჯობინეს და მოხდა საკვირველი ამბავი: თითქო ახლა ახლდება მარქსისტების კრიტიკა ამ საკითხში, თითქო ეხლა იწყება მაშინდელი მარქსისტული კრიტიკის რევიზია... ამას ჩვენ ვერ დაუშვებთ, ეს ძირშივე უნდა იქნას აღმოფხვრილიო“. ფ. მახარაძემ თავისი მუქარა შეასრულა და სულ მალე ქართველი მწერლები გაანადგურა და მის საუკეთესო წარმომადგენლებს ჯავახიშვილებს, ტაბიძეებს, კოტეტიშვილებს და სხვებს თავები დააყრევინა, მათ ზედ მიაყოლეს „პროლეტარული მწერლების“ საუკეთესო წარმომადგენლებიც.

'გალიბერალებული“ კომუნიზმის მოლაყბეებმ და მისმა თუთიყუშებმა, „პიროვნების კულტის“ მსხვერპლად გამოაცხადა და უკვე აღსრულებულნი „მკვდრეთით აღადგინა“. განა ის სახელმწიფო სახელმწიფოა და ის რეჟიმი, შეიძლება ატარებდეს რომელიმე ქვეყნის სახელს, სადაც დღეს შეიძლება მასიურად და განუკითხავად ჰლიტონ ხალხი და ხვალ „მკვდრეთით აღადგინონ“? ან ათეული წლების განმავლობაში ფინიასავით ჩექმები ულოკონ, ხოლო შემდეგ სამარიდან მოთხარონ და მისი ძვლები ძაღლებს გადაუყარონ?

დროთა ვითარებაში ფ. მახარაძესაც ხმა ჩააწყვეტინეს და ილიას დაბადების 100 წლის თავი დიდი ზეიმით გადაიხადეს. ქართული ლიტერატურის მკვლევარებმაც (დ. გამეზარდაშვილი, შ. რადიანი და სხ.) ფრთები გაშალეს და მესამოციანთა დიდი დამსახურება, ნიჭი და შემოქმედების უნარი მზის სინათლეზე გამოიტანეს. მაგრამ აქ ახალმა მოვლენამ იჩინა თავი. მოსკოვის „გენერალური ხაზის“ მიხედვით საჭიროა მტკიცება, რომ თუ რამ სიკეთე უნახია საქართველოს ეს რუსის „უფროსი ძმის“ წყალობაა. მაგ., არ ყოფილიყო ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, გერცენი, ბელინსკი და სხ. არ გვეყოლებოდა ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე და სხ. ეს წითელ ზოლათა სდევს მთელ ახალი დროის ლიტერატურას; ყველაფერი რუსული და რუსულის მიბაძვით უნდა და

---

უდედოთ, უსიყვარულოთ და უსიხარულოდ იზრდება ბავშვთა ჯგუფებში ეს უსახო არსება. მოკლედ: ეს არის ერთი დიდი კონცენტრაციული ბანაკი, ომის დროს რომ გვინახავს და შიშით თვალი აგვირიდებია.

გადაჭარბებულია? ვაი, რომ სინამდვილე ბევრად უფრო მუქ ფერებში გვივლენს ამ სურათებს, ამ რღვევას... რა ოჯახი უნდა შექმნას ჩვენმა გლეხმა, როდესაც მას სულ ორი ადლი საკარმიდამო დაუტოვეს, სადაც მას ყოველ ძირ ხეზე ნაყოფს უთვლიან? და რაც მთავარია, მას არ რჩება არც ერთი თავისუფალი დღე, რომ კოლექტივიდან თავი იხსნას და „ოჯახს„, თავის პატარა საკარმიდამოს მიხედოს და ჯაფა დასდოს... და ასე უვარდება გული, ეკარგება ხალისი ყოველ ოჯახის დედას და მამას „საკუთარ“ საკარმიდამოზეც და ის ცდილობს კოლექტივებში უსაზღვრო შრომით, ზედმეტი საათებით და ბრიგადირ-თავმჯდომარეთა გულის მოგებით რამეს მიაღწიოს. რა გზით ხდება ეს მიღწევა? ათასნაირ დამცირება-მლიქვნელობის, სიცრუის და თვალთმაქცობის გარდა, საშინელის დაძაბვით, უკანასკნელ ძალთა გამოფიტვით, პირუტყვულ შრომით... და რად ხდება ეს? მხოლოდ იმიტომ, რომ მიაღწიონ „დამკვრელის“ ხარისხს, სხვები ჩამოტოვონ, წინა რიგებში „წამოიჭიმონ“ და იქ „შრომის დიპლომი“, მედალი და ორდენი დაიმსახურონ. გახდნენ ქართველ 'სტახანოველად“, მიიღონ ჯილდო, პენსია და მოსკოვში უფასო მგზავრობა, „დახურულ კოოპერატივიდან“ ტანსაცმელი და სანოვაგე, პატეფონი და ბინაც... ბინა 1 ან 2 ოთახისაგან, საკუთარი სამზარეულოთი, რომელშიაც (როგორც ხშირად მათივე გაზეთები სწერენ) „წვიმა ჩამოდის“, „ელექტრონი მოშლილია“, „წყალსადენი არ მოქმედობს“, ან „გაბზარულ კედელში ქარი ჰქრის“... და მერე, ვინ არიან ეს „ბედნიერი“ ორდენოსანი ქალები, რომლის უკან „პარტკორესპონდენტი“ სდგას და ანიშნებს როდის და რამდენად უნდა გაიღიმოს. მათ სურათებს თქვენ ყოველ საბჭოთა გამოცემებში ხვდებით. ნახავთ ამ „ბედნიერ“ სახეებს **ყველა თებერვლის გამოცემაში,** სადაც ისენი თავის „ალტაცებას“ გადმოსცემენ ქართველი ერის და კერძოდ ქართველ დედის 'გამარჯვების გამო“ (?), ოდეს 25 თებერვალს 1921 წ. უფროსი ძმის, რუსეთის და მისი ბელადის, ლენინის „დახმარებით“ საქართველოში ბოლშევიკური დროშა აფრიალდა, მზემ გამოანათა და ჩვენი ხალხი განთავისუფლდა... ნახავთ ფოტოებს ამ „ბედნიერ მოზეიმეთა“, ლენინის დაბადების დღეს, ოქტომბრის დღეს, წითელი არმიის დღეს, საკავშირო კომპარტიის, ან საბჭოების ყრილობების დღეს... და „ქალთა თავისუფლების დღეს,—8 მარტს“...

ყველა ესენი არიან „გმირები“, მაგრამ არა **ჩვეულებრივი,** არამედ „დიდი ეპოქის გმირები“

როგორია მაგალითად, ან ვინ არიან ამ ეპოქის ქართველ ქალთა გმირები? ამათ ჩვენ „8 მარტის“ თბილისის პრესაში ვხვდებით: ესენია ტატიანა (?) ჩხაიძე, ელენე გეგელაშვილი, მერი კვაჭანტირაძე, ლეილა როლიძე და სხვები.

***

რა ჩაიდინეს ასეთი ამ ეპოქის გმირებმა? მათ თურმე დიდის გადაჭარბებით შეასრულეს შრომის ნორმები და კომუნისტური პარტიის „ბრძნული ხელმძღვანელობით“ ერთ ჰექტარზე 80 ცენტერი სიმინდი მიიღეს, ან დაფნის ფოთლის მოსავლის დავალება სამმაგად შეასრულეს, ან მოკრეფილი აქვთ 1500 კილოგრამზე მეტი ჩაი (ლეილა დოლიძეს), ან 0,4 ჰექტარის ფართობიდან 5.500 კილოგრამ ჩაის იღებს (ფ. ჯაიანი); ცალკე გმირებად მოიხსენიებს საქართველოს საბჭოთა პრესა ციტრუსებზე მომუშავე ქალებს, ფრინველების ფერმებზე, ძროხების ფერმებზე და სხვა ამგვარ ადგილებზე მომუშავე ქალებს.

ავიღებ მრავალთაგან ერთ ნამდვილ სურათს: აი, წვრილი შვილების პატრონი დედა, სოფიო დელიმაშვილი „პატარა სახლიდან ფრთხილად გამოდის თავშალ წაკრული ქალი, ფრთხილად, რომ, ბავშვები არ გააღვიძოს (ვის ანაბარა რჩებიან ეს პატარა ბავშვები?) მსუბუქი, „ხალისიანი (?)“ ნაბიჯით დაეშვება თავქვე სოფლის ბოლოსკენ; გზაში იშვიათად დაემგზავრება ვინმე. აბა, ვინ უნდა დაასწროს სოფიოს ფერმაში მისვლას? სანამ ფერმაში ჩავიდოდეს, ათასი ფიქრი გაუელვებს თავში (აშკარაა: ოჯახზე, შვილებზე და ათას გაჭირვებაზე), მაგრამ შეაღებს ბოსლის კარებს და ყველაფერი ავიწყდება. იქ თბილა ,ოდნავ ბჟუტავენ ელნათურები... აი „მისი“ ძროხებიცთორმეტია, მაგრამ ყველას ზნესა და ხასიათს სცნობს. ზოგს სულ ერთი, თუ ორი წელიწადია რაც უვლის, ზოგი კი—უკვე ათი წელიწადია, რაც სოფიოსთანაა... 'სოფიო ხალათს გადაიცვამს, წველისათვის ემზადება და **იწყება დაძაბული შრომის დღე,** დღე, რომლის განმავლობაში **სამჯერ** უნდა მოწველოს თორმეტი ძროხა, მათ საკვები არ მოაკლოს, დაარწყულოს... და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი საქმე და გარჯა აქვს ამ პატარა ქალს, თორმეტი წელიწადი რომ მხარში უდგას ვაჟკაც მწველავებს... გაუსწვრია მათთვის კიდეც და ამიტომ იყო სამჯერ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, ამიტომ დააჯილდოვეს ვერცხლის მცირე მედალით, ამიტომ დაავალეს კომუნისტური პარტიის დეკემბრის პლენუმზე მონაწილეობა და... დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. **ეს სოფიო წინად მემინდვრეების ბრიგადაში მუშაობდა. ვინ იცის, რამდენ წელს და შემდეგ მესაქონლობის ბრიგადაში გადმოვიდა, სადაც 12 წელიწადია განუწყვეტლივ, დაძაბულად** მუშაობს... პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა. **იმ წელს დიდი უბედურება შეემთხვა: ქმარი გარდაეცვალა და 3 პატარა ბავშვი დარჩა ხელზე ახალგაზრდა ქალს. მაგრამ არ შეშინებულა, შრომა და გარჯა გაათკეცა. ფერმაშიც და სახლშიც ჯარასავით დატრიალდა. თუმცა რაღა ფერმა და რაღა სახლი? სად უფრო დიდ ხანს იყო, რომელს უფრო მეტი ძალღონე შეალია?** ბავშვებიც დედის კვალს დაადგნენ!!... მაყვალა და ნანული (მოწაფეები) ფერმაში მუშაობენ, დედას ეხმარებიან. სოფიომ თანდათან შეაჩვია გოგოები მუშაობას. უფროსი ბიჭი მარტყოფშია, სწავლობს და თან მუშაობს!!-

და ამ პატარა ქალის მწარე ხოტბას პარტკორესპონდენტი იმით ამთავრებს, რომ თურმე სოფიოს კოლექტივი (ლენინის სახელობის) „დამკვრელი“ გახდა: „იგი შვიდჯერ მეტ რძეს და სამჯერ მეტ ხორცს იძლევა ეხლა, ვიდრე 1953 წ. იძლეოდა და ამასთან ეს კოლმეურნეობა ჩაება დიდ მშვიდობიან შეჯიბრებაში, რომელიც ეხლა მთელს ჩვენს ქვეყანაშია გაშლილიო“. ეხლა ის შეჯიბრებაში გამოუწვევია რუსეთის ფედერაციის ტამბოვის ოლქის, მიჩურინის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობას, რომელს ხელმძღვანელობს იქაური, სოფიოს მსგავსად ოჯახ და კერა მოშლილი, გაუბედურებული რუსი ქალი „დამკვრელი“, მედალიანი „გმირი“ ევგენია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „არა მკითხე მოამბენი...“

(დასაწყისი იხ. მესამე გვ.)

იწყოს!. „უფროსი ძმის“ მითითებით და შთაგონებით უნდა მოხდეს. ეს არის „ვიზა“ ურომლისოთაც წიგნი მზის სინათლეს ვერ იხილავს თითქმის შეუძლებელია ისეთი ქართული წიგნის ნახვა, რომელსაც რუსული წარწერები და, ხშირად, მოკლე შინაარსიც დართული არა ჰქონდეს.

ამას უწოდებენ „სუვერენულ სახელმწიფოში ქართული ლიტერატურის აყვავებას“?

როდესაც კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ გამოვიდა მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტამ“ დაუყონებლივ დაიწუნა რუსების 'იგნორირება“ და სთქვა: სად არის რუსეთი და რუსის ერი? გინდ ფაქტიც არ არსებობდეს ნუ თუ მწერალს არ შეეძლო დამაჯერებელი ფანტაზია შეექმნა ხალხთა ძმობის გასამტკიცებლადო. ეტყობა ამ მიმართულებით შეტევები იმდენად გაძლიერდა, რომ თვით კ. გამსახურდია იძულებული შეიქმნა თავი დაეცვა და თავის მეოთხე ტომში სწერს: „ჩემი ეპოპეის პირველი წიგნის გამოსვლის უმალვე მისაყვედურა ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამ რუს-ქართველთა ურთიერთობის იგნორირება“

„არამც და არამც არ ვაპირებდი ამ მომენტის მხედველობიდან გაშვებას. მაგრამ დავით აღმაშენებელის პირველი წიგნი გამოხატავდა 1080-1092 წლების მოვლენებს, მეორე წიგნი მოუნდა ჯვაროსნული ომების პირველ პერიოდს, ხოლო ვლადიმერ მონომახისა და კიევის რუსეთის პოლიტიკური თავკაცების გააქტივება ყიფჩაღების—„პოლოვცების“ წინაალმდეგ ბრძოლებში იწყება 12 საუკუნის პირველი ათეული წლიდან, ე. ი. 1106-16 წ. და სწორედ ამ ეპოქას ვუძღვენი მესამე წიგნი.. მას შემდეგ, რაც ვლადიმერ მონომახმა ყიფჩაღები დაამარცხა და რუსებმა დონს გადმოღმა გადმორეკეს ეს ნომადები, დავით აღმაშენებელმა ისარგებლა რუსების ამ გამარჯვებით, ქირის სპათ აიყვანა მთელი ტომი ყიფჩაღებისა და სამხრეთის თურქ-სელჯუკიანთა წინაალმდეგ გაწეულ ბრძოლებში გამოიყენა ისენი“-ო.

აი, რა აფსურდამდე მიიყვანეს ნიჭიერი და სახიქადულო მწერალი!

შ. დადიანის რომანი „უბედური რუსი“ 1924 წ. დაიბეჭდა. დროთა მსვლელობაში „მიხვდნენ“, რომ რუსი „უფროსი ძმა“ არ შეიძლება უბედური იყოს და ახალ გამოცემებში მას „უბრალოდ“ გიორგი რუსი შეარქვეს.

სჩანს „უფროსი ძმები“ არც ამან დააკმაყოფილა და ავტორი დატუქსეს, რადგან შ. დადიანი თავის მოგონებებში (იხ. „ჩემი წრსული“ გვ. 195). სწერს: „იმ დროს კაცობრიობის ყურადღება მიპყრობილი იყო ბიზანტიის, არაბეთის და საერთოდ აღმოსავლეთზე და სრულიად ზედმეტია ვიფიქროთ, რომ პატარ-პატარა სამთავროებს (და არა რუსეთს, რადგან იმ დროს ამგვარი არც პოლიტიკური და არც სოციალ-ეკონომიური ერთეული არ არსებობდა) რაიმე გავლენა მოეხდინათ საქართველოზე, ან კულტურულად და ან მილიტარულადო“.

ამ გაბედული პასუხიდან რუს დამპყრობელის დაწოლაც აშკარა ხდება. რუს მოძალადეებს ისე სურთ გააყალბონ ჩვენი ისტორია, რომ თვით დიდებული დავითის და თამარის ეპოქა, ქართული სახელმწიფოებრივი სიძლიერის უმაღლესი გამოვლინება, „ვანკას“ და „პეტკას“ გავლენას დაუკავშირონ.

დამპყრობელის ნება-სურვილი ვერ აიცილა თავიდან ქართულმა მწერლობამ და მეცნიერებამ და საქართველოზე რუსული გავლენა დათარიღდა 11-ტე საუკუნით. ამ დროიდან მოყოლებული პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და, თითქოს, მილიტარული დახმარებაც, „უფროსი ძმა“ რუსისგან მოგვდიოდა. თვით დიდებული თამარის სახელმწიფოებრივ მაღალ ნიჭსა და უნარს თავის სამთავროდან გძევებულ, სამოწყალოდ სხვის კარზე აღზრდილ ავადმყოფ „უბედურ რუს“ აწერენ.

ეს არის შეტანილი ყველა სახელმძღვანელოში, ყოველ ისტორიულ ნარკვევში და ისტორიულ რომანებში,—წითელ ზოლად არის გატარებული საქართველოს რუსეთისადმი მისწრაფება და რუსეთის 'გულუხვი და უანგარო“ დახმარება და ხელის შეწყობა. თუ ამ პერიოდში რუსეთი, როგორც ამას შ. დადიანი სამართლიანად აღნიშნავს,—სულ არ არსებობდა და მას არავითარი გავლენის მოხდენა არავიზე არ შეეძლო, ამას დაპყრობილ საქართველოში ჩვენი მწერალ-მეცნიერები გულში იფიქრებენ, მაგრამ ახდილ თქმას აბა ვინ გაბედავს? ჩვენი მეცნიერები იძულებულნი არიან ეს „ღალა“, „ხარკი“ დამპყრობელს გადუხადონ, რადგან უამისოდ წიგნი მზის სინათლეს ვერ იხილავს.

ნათქვამია „რა ენა წარხდეს [illegible] დაეცე[illegible]ო“. მოსკოვის დღევანდელი მზაკვრული პოლიტიკა სწორედ ამ მხრივ აწარმოებს უდიდეს დაწოლას. გასული წლის ოქტომბრის 24-ს მოსკოვის „იზვესტიამ“ ურცხვად განაცხადა: რას წააგებს ქართული ენა, რომ მაგ. „სპუტნიკი“ მიიღოსო... იქნება მოსკოვის ლაქიებმა 'დაგვიმტკიცონ“, რომ „სპუტნიკი“ უფრო ლამაზი და მიმზიდველი გამოთქმაა, ვიდრე „თანამგზავრი“ და, ცხადია, ქართული ენა ამით „მხოლოდ გამდიდრდება“!

მაშასადამე: საქართველო სახელმწიფოებრივად მოსპობილი და გაუქმებული, ეროვნულ უფლებებ აყრილი და გადათელილი, ქართული მოსახლეობა აჭრელებული და ჩვენს მკვიდრ მიწა-წყალზე ნახევარი, თითქმის არა ქართული მოსახლეობაა, ქართული მწერლობა შევიწროვებული და, იძულებით, მოსკოვის ნაფიქრალის გამტარებელი, ქართული ისტორია დამახინჯებული, ქართული ენა წარყვნილი, საქართველოს ეროვნული დოვლათი რუსეთის მიერ მითვისებული და საპროპაგანდოთ „50-ზე მეტ სახელმწიფოში დაგზავნილი“, მთელი ქართველი ერი,—ქალი და კაცი, განუკითხავ, მძიმე შრომის უღელში გაბმული უსიტყვოდ და უპროტესტოდ ეწევა რუსული იმპერიალიზმის მძიმე ჭაპანს. თვით ქართველი ერი პირუტყვულ მდგომარეობამდე დამდაბლებული: მშიერი, ტიტველი, უბინაო და ყოველ პირველ საჭიროების საგანს მოკლებული თვალით უყურებს და თვით მონაწილე ხდება ჩვენი ეროვნული დოვლათის განიავების.

ასეთი სავალალოა „ოქტომბრის რევოლუციის“ დიდი ბელადის და „უფროსი ძმის“ „დიდი რუსის ხალხის“ მიერ „გაბედნიერებული“ საქართველოს სურათი.

მაშ ვინა ყოფილა „არა მკითხე [illegible]“: ის, ვინც ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს იცავს და რუსეთის მზაკვრულ იმპერიალისტურ პოლიტიკას ამხელს, თუ ის ვინც რუსეთს ამ მზაკვრობაში ხელს უწყობს და საკუთარი ტყავის გადასარჩენად, თუ კარიერისათვის დამპყრობელის მონის როლს ასრულებს? იანიჩარული პოლიტიკა ქართული ისტორიის მიერ უარყოფილი და დაგმობილია და ჩვენი დროის იანიჩარებზედაც ითქმის:

„შენი რაა რომ ამშვენებ,<br>
'შენ დამღუპველ რუსეთსა...

**ვ. სანგულია.**

## ზღვის ტალღებში.

**(მოთხრობა)**

ისედაც გულდათუთქული ხათუნა მაჩხანელი თავის დის თინას დაკარგვით უფრო მოიღვენთა, გული დაუსევდიანდა. ვის არ მიმართა, სად არ იყო; მაგრამ თინას კვალს ვერ მიაკვლია. დაღონდა ქალი ობოლ თინაზე. ეხლა კომკავშირს მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. დაიკარგა გოგონა ნიბლია ჩიტივით, ალალმა მოიტაცა თუ ნიავმა წამოუქროლა, არავინ იცის. ამ უბედურობას ისიც დაერთო, რომ ხათუნა ერთ დღეს შინსახკომის ადგილობრივ უწყებაში დაიბარეს, დაიბარეს და გააფრთხილეს... შესწყვიტოს წერილების წერა ხალხის მტერთან, თავი ანებოს ქმარზე ფიქრს, რომელიც სადღაც შორეულ ცივ ქვეყანაშია გადაკარგული. ქმარი გადაუკარგეს, თინა უგზო-უკლოდ დაიბნა... დაიბნა ხათუნა მაჩხანელი... დაებნა ცხოვრების გზები...

ხათუნა თავის უმწეო პატარა დაიკოს თინას უპატრონოდ ხომ ვერ დატოვებს, თუმცა აბა რა უნდა უპატრონოს მას თვით საპატრონომ. ხათუნა მაჩხანელს პატრონად ქალაქის აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე ვინმე ნიკა ბიგაევი მოევლინა. გავლენიანი პირი იყო და დახმარებას დაჰპირდა.

„ცის კამარას გავარღვევ, ქვესკნელს მოვივლი და თინას კვალს მივაგნებო“—დაიქადა ბიგაევმა.

ხათუნას იმედათ მოევლინა ეს კაცი. ერთ დღეს, ფოსტამ ფულის უწყება გადასცა: ბიგაევისაგან ათასი მანეთი. გაიკვირვა ქალმა. ვერ გარკვეულიყო თუ რაში უნდა ყოფილიყო საქმე. ფული მისთვის არ უთხოვია. თინას გამო შეევედრა. ეს ფული აბა რას უნდა ნიშნავდეს? რა თქმა უნდა, ფულს უკანვე გაუგზავნის ბიგაევს დიდი მადლობით, მაგრამ ფული ისევ უკან დაუბრუნდა წერილთან ერთად. „მებრალებით. ადამიანურ ვალად მიმაჩნია, დაგეხმაროთ. ნუ გაიკვირვებთ!“—მისწერა ბიგაევმა.

***

ხათუნა გულით კეთილი იყო და ჩვილი. გული აუჩვილდა, სათნო გულმა ბიგაევში სათნოება ჰპოვა.

„ჩვენს დროში, როცა კაცი კაცისა მტერი გამხდარა, კიდევ მოიძებნება თურმე ადამიანი, და ეს ადამიანი, უთუოდ ბიგაევია“ სთქვა გულმა და მიენდო.

გავიდა საკმარისი დრო. ბიგაევს არც ცის კამარა გაურღვევია და არც ქვესკნელში ჩაჰყოლია თინას. ისე კი, უხშირა ხათუნასთან სიარულს და ქალი ხელში ჩაიჭირა, საწადელს მიაღწია.

—ხათუნა, რას მოღუშულხარ, რად მოგწოლია დარდები ღრუბლად, გაიშალე ვარდივით. ეს ცხოვრება სიზმარია... დღეს ვბოგინობთ, ხვალ არა. ნუ ფილოსოფოსობ... ფილოსოფია ჩემო კარგო [illegible]თული რამეა... ფილოსოფოსებს არაოდეს არ გადაუჭრიათ დიდი კითხვები, დასუსვამთ კი, თავსატეხად უთვალავი. საჭმელი გაქვს, სასმელიცა... ტანსაცმელი... ბინა და ცხოვრება... სვი, ჭამე, გაიხარე, მეც გამახარე. ხომ გაგიგონია: „დრონი მეფობენ, და არა მეფენიო...“. ვისაც გონი აქვს, ცხოვრებისაგან ჯავილს სწყვეტს, ვინც ფილოსოფიამ გაიტაცა და თავის ფრთებზე შეისვა, დააქროლებს უსაზღვროებაში, მანამ, სანამ კლდის წვერზე არ მიაჩეხავს მას!—სთქვა ნიკა ბიგაევმა. ნიკა ბიგაევი ვინმე, მაღალი და მრავალსიტყვიანი კაცი იყო, სარიდებელი.

—ამით რა გინდა სთქვა!—მიუგო ხათუნამ.

—ამით იმის თქმა მინდა, რომ ბევრი ყოფილა, მაგრამ არ იქნება. დღეს მაგალითად დიდი კაცი ვარ, ხვალ კაცუნა ვიქნები... დღეს ფიანდაზად მეგებიან, ხვალ ლაფს დამასხამენ... ჩემზე დიდი მოცა და მომერევა... ხომ იცი, დიდი პატარას შეახრამუნებს ხოლმე!

***

საშინელი იყო ამ კაცის შეხედულება ცხოვრებაზე, მაგრამ ეს ასე იყო სწორედ. ეს იცოდა ბიგაევმა, ამიტომ არ იყო გულწრფელი. დაწესებულებაში მის უფროსს თვალებში შე-

---

ანდრეევა... (იხ. „დროშა“ №103. „ნორიოდან წამოვა რძის ნაკადი“). ასეთი მზაკვრული გეგმებით, დამკვრელების კადრების წახალისებით ამ ქართველ დედების „ორდენოსნობით“ დასნეულდა და დაუძლურდა ქართველი ოჯახი და ჩვენ წინ სდგანან „8 მარტის ქალები“, წამებულნი, უსახო და უილაჯო, უსულო და უხალისო დედანი, რომელს ქმარ-შვილი წაართვეს, სამშობლო დაუმონეს, მშობლიური ბუდე დაურღვიეს და „დიდი წველადობის მიღწევებისათვის“ მედლები დაჰკიდეს. დიდი მწუხარებაა მის გულში, ამ მედლების ქვეშ რომ თრთის... ვისთვის, რისთვის მსახურებს და წელებზე ფეხს იდგამს?... ვისთვის 'წამოვა ნორიოდან ეს რძის ნაკადი?“ ვისთვის მზადდება და უნდა დამზადდეს 160, 180 და 190 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი? თუთუნი, დაფნა, ციტრუსები? და ბოლოს ხორცი, ხორბალი და სიმინდი?“ ყველა ეს, რაც დანგრეულ და განადგურებულ ქართველ ოჯახის ოფლით და შრომით, ამ ოჯახთა კაცის, ქალის და ბავშვების მარჯვენით, ამ ოჯახთა მიწებზე რომ დაუთესიათ და მოუყვანიათ, ვისთვის მზადდებოდა? ვისთვის ათენეს უძილო ღამეები? ამის პასუხს იძლევა საკავშირო (რუსეთის) კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის და საბჭოთა კავშირის (რუსეთის) მინისტრთა საბჭოს საქართველოს კომპარტიის და საქ. მინისტრთა საბჭოსადმი მიძღვნილი **საგანგებო მიმართვა** (დიპლომი), სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭო დიდის კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ **საქართველოს სოფლის მეურნეებმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი** სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვაში. (?) (იგულისხმეთ „ჩაბარებაში“) 16.5 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან. საქართველოს რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსთვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, ხილის და დაფნის ფოთლის შესყიდვის გეგმები... საკავშირო კომპარტიის ცეკა და მინისტრთა საბჭო გულითადათ **ულოცავენ** ამ მიღწევა-წარმატებას და **მტკიცე რწმენას გამოსთქვამენ, რომ საქართველოს სოფლის მშრომელები კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღ;ევენ შემდგომ აღმავლობაში**“ (იხ „დროშა“ №114). და ამას განა რაიმე განმარტება კიდევ სჭირია? ამ „ახალ ლოზუნგებს“ გადმოისვრის კრემლი და „დატრიალდება“ ჯოჯოხეთური ჯარა პარტიულ და საბჭოთა აპარატისა საქართველოში, რათა კიდევ მეტი სისხლი და ოფლი გამოსწურონ ქართველ მშრომელებს, კიდევ უფრო მოსწყვიტონ ისენი საკუთარ კერას და კოლექტივების სრულ მონებად აქციონ **„ახალ დიდ მიღწევებისათვის“** და დანგრეული კერის ნაცვლად ქართველ დედას საკავშირო ცეკისაგან მადლობა აღირსონ და ხანდისხან „შრომის გმირის მედალითაც“ დააჯილდოვონ.

***

ქართული ოჯახის ამ რღვევის ყველაზე დამახასიათებელ მაჩვენებელს ვხედავთ ცნობილ მეცნიერის, სწორედ ამ ხანებში დაღუპულ პრ. იოსებ ჟორდანიას საბედისწერო დასკვნებში... ეს დასკვნები მეცნიერს მრავალ წელთა დაკვირვებამ და კვლევა-ძიებამ გამოატანინა.

ამის მიხედვით ნათელი ხდება, რომ მთელ საბჭოთა კავშირში არც ერთი ერი ისე არ განიცდის მშობლიური ოჯახის რღვევას, როგორც ქართველი. საკუთარ მეურნეობის მოსპობამ, ეკონომიურ განადგურებასთან ის **ფიზიკური განადგურების** გზაზე დააყენა.

პრ. ჟორდანია სწუხს და იტანჯება, რომ ქართველობას საკუთარ ოჯახისადმი ინტერესი და მიდრეკილება უნელდება. ქართველობა **ქორწინებას** გაურბის, შვილის ყოლა მას მძიმე ბარგად მიაჩნია და გაჭირვების გამო ერთი შვილით კმაყოფილდება, ან სრულიად არ იჩენს შვილს. პრ. ჟორდანია გულისტკივილით უცხადებს „დროშის“ მკითხველთ: „ჩემი საუბარი მეტად არა სასიამოვნო ფაქტიდ უნდა დავიწყოო“, ბრძანებს მეცნიერი და ჩამოთვლის მიზეზებს: „სამწუხაროდ, ბევრი ოჯახი მისდევს წესს... იყოლიოს ერთი ბავშვი“... და 'ჩვენში, და კერძოდ თბილისში განსაკუთრებით გვხვდება თვალში გვიან ქორწინება... მამაკაცების 40 წლის და ქალების 35 წლის ზევით და სხ... ამის გარდა, სამწუხაროდ, **ძალზე ხშირია აბორტები...** და ყველა ამის შედეგი ისაა, რომ მოსახლეობის ზრდის მხრივ სტატისტიკით საქართველოს მთელ საბჭოთა კავშირში 11-ტე ადგილი უჭირავსო“, ასკვნის დიდის მღელვარებით განსვენებული დიდი მეცნიერი. („დროშა“ №114) და მეორე ადგილას დასძენს, რომ მოსახლეობის ზრდის მხრივ საქართველოს ზოგიერთ რაიონებს **„უკანასკნელი ადგილი უჭირავს მთელს საბჭოთა კავშირშიო“**. ეს გულსაკლავი ცნობა ქართველი ერის ფიზიკურ განადგურების საფრთხეზე ჩვენ ამოვიღეთ ჟურ. „საბჭოთა ქალის“ №2-დან (1961წ.) საინტერესოა, რომ სწორედ იქვე, ჟურნალის უკანასკნელ გვერდზე ვხედავთ დიდათ „ბედნიერ და მხიარულ პორტრეტს“ ქართველი ქალის, მერი კვაჭანტირაძისას, რომელმან თურმე სწრაფად გაითქვა სახელი, როგორც მოწინავე მწველავმა. შარშან ის 12 ძროხას უვლიდა და თვითეულიდან 5.400 კილოგრამი რძე მიიღო და თურმე თებერვლის დამდეგს, ახალგაზრდა მწველავს დიდი სიხარული ეწვია: იგი მიიწვიეს 'ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე“, რასაც თურმე ამხანაგი ხრუშჩოვი ესწრებოდა... აქ მერი ისე აღელდა, რომ „სიტყვით გამოვიდა და **პირობა მისცა** ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ 25 ძროხიდან, რომელსაც უვლის, თვითეულის წველადობას 6000 კილოგრამამდე გაზრდის“. კორესპონდენტი იმით ათავებს, რომ ნიკიტა სერგეის ძე დაძაბულის ყურადღებით უსმენდა მერის და ბოლოს ახალგაზრდებს მიმართა და მოუწოდა მიებაძათ მერი კვაჭანტირაძის მაგალითისათვის. (იხ. „საბჭოთა ქალი“ №2, გვ. 26).

ასე ემსახურებიან ეს ნამდვილად გამრჯე და მშრომელი ქალები საკუთარ და სხვათა ოჯახების რღვევას და გადაშენებას, მის ეროვნულ სახეობის და შინაარსის ამოცლას.

ასე კვდება და ჰქრება ინდივიდუალური, ნამდვილი შემოქმედი ოჯახი და მტკიცდება ჯოგური, უსულო და უსახო ოჯახი—კოლექტივი აქედან ერთი ნაბიჯია—ქართულის ნაცვლად ინტერნაციონალური ოჯახის შექმნამდე, რომელიც მხოლოდ კოლექტივის არსებას ატარებს და უსიცოცხლოდ შერეულა „დიდ ჯოგში“, უხვად წველის, ბლომად ჰკრეფს ხარისხოვან ჩაის და დაფნას, ზრდის ქათმებს და ღორებს, მაგრამ არ იცის: ვინ არის, რად არის, ვისთვის შრომობს და ცოცხლობს?

ეს მისი ბრალი არაა... მას სული ამოართვეს და ცოცხლად დამარხეს.

აღარ არის ქართველი დედა—ოჯახის დედაბოძი და აი, მის დამარხვას მასვე „აზეიმებენ“ ყოველ წელს, 8 მარტს, „საბჭოთა ქალის დღეს“...

**სოფიო ლეონიძე.**

სცქეროდა. გარეთ გასვლისას წინ გაუხტებოდა შველივით; დერეფანში გაასწრებდა მოსასხამის მისართმევად და სანამ ბობოქრობდა, ბიგაევი მისი მომღერალი იყო. და თუ ფეხი წაუცდებოდა და მის უფროს ვინმე მომრევი გაუხდებოდა და წააქცევდა მას, ნიკა ბიგაევი პირველი ჩაწიხლავდა მას, ზურგზე მოაჯდებოდა და ნაბადივით მოთელავდა. ქლესა კაცი იყო და პირმოთნე, ხერხივით გაჰქონდა და გამოჰქონდა.

—მე ასეთი ცხოვრება არ მინდა!—სთქვა ხათუნამ.

—მოგბეზრდა განა! დაგავიწყდა სივიწროვე, აკოწიწებული გროშებით რომ ცხოვრობდი და თვიდან თვემდე სულს ძლივს ითქვამდი? —ის ყოფა სჯობდა ამ შინაარს გამოცლილ ცხოვრებას!

ატირდა ხათუნი ბიგაევის სატრფიალო საგნად ქცეული.

—ნუ სტირი, აბა ტირილით რა აგებულა... ოდესღაც ტფილისის ნანგრევებს თავს დასტიროდა ქალი გრძნეული. ნარიყალას დუღაბს ცრემლით ალბობდნენ, მაგრამ რაგამოვიდა... დუღაბი დუღაბად დარჩა და ცრემლი კი შეუშრობელი!

ბიგაევმა ოთახში სიარულს უმატა. რაღაც უნდა ეთქვა ხათუნასათვის და ერთად ვერ გაებედა.

—გამიგონე, მალე წვეულება იქნება... დაბადების დღეს უხდიან ამხანაგები ქალაქკომის მდივანს დათა მაღრაძეს!

—მერმე?

—წამოხვალ... განიერი და გრძელკუდიანი კაბა ტფილისს შევუკვეთოთ... ხომ იცი ჩვენს ქალაქში ლამაზი ცილის პატრონი მოწონებაშია მაღრაძის თვალში!

—მე არავითარი დედოფალა არა ვარ და არც სამანჭოდ შობილი! სთქვა ხათუნამ.

—ცხოვრება მანჭიობაა, თაღლითობაა. ის მოსწყვეტს ნაყოფს, ვინც გაიძვერაა, თაღლითია. ვისაც სინდისი ხელთათმანივით გაუხდია!

—მე სპეტაკი ვარ, რაც მსხვერპლი გავიღე, საკმარისია!

—სპეტაკად დარჩი, იყოს ნება შენი, წვეულებაში კი წამოხვალ!

—თაღლითებთან მე არ წავალ, მე არავითარი თაღლითი, გაიძვერა არა ვარ!

ატირდა ხათუნა, ისე როგორც მთელი ეს სამი წელიწადი ამ ვიგინდარასთან. ბიგაევი ხათუნას ვარდივით შესტრფოდა. ყნოსავდა მას, სანამ საამური სუნი გაუდიოდა და არ თაკილობდა, თუ ამ ვარდს დიდი კაცის გულზე დააბნევდა; ოღონდაც მისი სამსახურებრივი წინსვლა გახელებულიყო. ეს იცოდა ხათუნამ და ეზიზღებოდა ბიგაევი. ეზიზღებოდა მთელი ის საზოგადოება, სადაც მას იწვევდნენ.

მოტყუვდა ხათუნა. მოატყუეს ხათუნნა. ისარგებლეს მისი უმწეო მდგომარეობით. ბიგაევი დაჰპირდა მას უგზოუკვლოდ გამქრალი თინას კვალის მიგნებას, ციმბირში გადასახლებული ქმრის უბედური ბედისგან გამოხსნას; ხათუნამ მსხვერპლი გაიღო მათთვის, სულით და იცალა და მძორად იქცა. ქალს ეხლა გონება დაეხლართა და საშველად ცრემლს მიმართა. ატირდა და ალივლივდა, მოსთქვამდა და ღმერთს შველას სთხოვდა. ბიგაევი გულქვა ვინმე იყო. ქუდი ხელში აიღო და უტიფრად წარმოსთქვა: იტირე რამდენიც გინდა, მაგრამ წვეულებაზე კი მოხვალ!

**
*

უჩვეულო ლხინი ერთს დიდ რესტორანში მოეწყო. გაბღენძილ დათა მაღრაძეს ხათუნა მაჩხანელი წარუდგინეს. ფერიასავით მორთული ქალის დანახვაზე დათა დაიბნა. მან იცოდა იგი მაჩხანელის მეუღლე იყო, მაგრამ ვერ წარმოედგინა, თუ ასეთი მშვენება იქნებოდა, ისე კი, გაეგონა მის სილამაზეზე ბევრი რამ. იმ ღამეს ხათუნამ დათას ყურადღება დაიმსახურა, სტუმრად მოპატიჟებულმა ქალებმაც ხათუნა ნიშანში ამოიღეს. შურით მზერდნენ მათი თვალები ხათუნას.

„რა ფარშავანგის კუდივით გაუგრძელებია ბეჩა კაბა!

„იპრუწება ინდოურივით!

„ჭადს მონატრებული!

„ჭადს თუ მოიხელთებდა ხაჭაპური ეგონა!„

„დეიცა, თუ მასაც არ გაუგორდეს მკლავებში!

„მურტალი, მრუში!

ასე დაუმსახურებლად თითხნიდნენ ხათუნას ქალები და შურით იმსჭვალებოდნენ, რადგან ხათუნა მართლაც რომ მშვენება იყო ციდან მოფრენილი. აბა რა იცოდნენ, თუ ხათუნაში რა ცეცხლი ტრიალებდა. იწვოდა ქალის გული აბედივით.

ლხინი გამძაფრდა. ნიკა ბიგაევმა დრო იხელთა და ხათუნა მგელს მიუგდო დასაკორტნავად.

—თქვენისთანა შვენიერება არ მინახავს არასოდეს... ზღაპარი ხართ თუ ფერია? სთქვა დათამ.

ენა მზეობს ბლენძი.

—არც ერთი და არც მეორე ბატონო! მიუგო ხათუნამ.

—ბატონს ნუ მეძახით. ნეტავ შემეძლოს ოქროს ტახტზე დაგსვათ!

—ქათინაურებს ჩვეული არა ვარ ბატონო!

—გევედრები, ბატონს ნუ მეძახით!

—მაშ რა გიწოდოთ!

—ამხანაგი, მეგობარი, სხვა რამე!

—აბა თქვენ რა ჩემი ამხანაგი ბრძანდებით, მეგობრობა, კი არც ასე ადვილია!

—მიწოდეთ მეგობარი!

—არ მინდა ამ სიტყვის გაიაფება!

ხათუნას არ უნდოდა თავისი ხვაშიადი გაეზიარებია მისთვის. საბედნიეროდ ხათუნას საცეკვაოდ იწვევდნენ.

ქართული როკვა გახელდა. გააფრდა... ხათუნას არ უნდოდა ცეკვა. ბევრი ეხვეწეს, ევედრეს და ისიც დაჰყვა.

მოხველ საზოგადოებაში? მას უნდა აჰყვე, სამგლოვიაროდ ხომ არ მოსულხარ! იქნება შენთვის გლოვა შვებაა... ქალმა ჯიუტობა ვერ შესძლო და როცა ტაში ღვარად წამოვიდა, ხათუნამ მკლავები გაშალა, დარბაზი გაქავდა. ხათუნა მიჰქრის ფერიასავით, მკლავების გაშლით ჰხვევს იგი ვნებათა სამოსელში მრავალსახად მოლივლივე თვალებს, მისკენ რომ მოჰკრთიან. ყველას უნდა ხვდეს ბედნიერება ხათუნასთან თამაშისა და დათა მაღრაძეც დაიძრა. სქელ კისერა, გაბღენძილი მუცლით და აჯაბჯაბდა დათვივით. აძუნძულდა, ფერიად უნდა იქცეს, მაგრამ ვერ აიკრიფა ქონადქცეული სხეული, აძუნძულდა კი. ბოლოს დაიღალა და მოეშვა. აქშინდა საბერველივით, ლოქოსავით პირი დაალო. ხათუნა კი მაჰქრის, მიჰქრის გამალებით. ქალმა სიხელეს უმატა, გადააჭარბა. ორკესტრიც დაიღალა. ხათუნას სევდები შემოაწვა. სევდა გულზე ლოდათ შემოესალტა და გონით შორს გაფრინდა. ცეკვავს და გონით პეჩორას ცივს მდინარეს და სტრიალებს, ყინულად ქცეულ სამყაროს, ანამკრთალ სახეებს, წერაქვით ხელში რო მიმოდი ან საყინულეში და იღუპებიან. აგერ უშანგიც, აგერ ნიბლია ჩიტივით აფრენილი და სადღაც უგზო-უკვლოდ გადაფრენილი თინა და ხათუნას ცრემლით აევსო თვალი... უნდილი დაეუფლა მის სახეს, აცრემლდა ქალი... მძივებად დაეკიდნენ ცრემლები თვალის ქუთუთოებზე. გული ათრთოლდა. როკვა გაშმაგდა... ხათუნა უფრო გახელდა... ორკესტრიც გახელდა და მიწყდა ყველაფერი...

●

შემარცხვინე, ხალხში თავი მომჭერი! საყვედურობდა ნიკა ბიგაევი, როცა სახლში მოვიდნენ.

—მომასვენე თუ ღმერთი გწამს, შენთვის არა მცალიან!

—მაშ იმ ხალხის მტრისათვის გცალიან?

—ენა ჩაიკმიდე, ის ჩემი სალოცავია, წმინდა ტაძარი. მას ეგრე ნუ ახსენებ, მის ფრჩხილად არ ღირხარ!

—მე?

—შენ!

—შენ ხასა ხარ ჩემი!

—ესეც შენ! სთქვა ხათუნამ და მაგარი სილა გააწნა.

—შენი საქციელით მეტად გააკვირვე დათა მაღრაძე!

—იგი მე გროშად არ მიღირს!

—იგი მპყრობელი ჩვენი ქალაქის!

—და ერთ მშვენიერ დღეს მის ხელში დარჩება არაფერი... აკი შენ თვითონ ყველაფერი სიზმარიაო!

—ჩემო უჰკნობო ვარდო! სალოშნავად მოემზადა ბიგაევი.

—არ გამეკარო მეთქი!

—რათა?

ძალით გადაეხვია ბიგაევი. ხელთ იგდო.

—შენ ხარ ვარდი...

—ესეც შენ! კიდევ გააწნა სილა ქალმა აბეზარს.

—გამიგონე!

—რა გინდა ჩემგან?

—ქალაქკომის მდივანს თვალში მოოუვიდა შენი შვენიერება... სულ შენზე მელაპარაკებოდა ზღაპრული ფერია არისო. ზღაპრის წიგნში თუ ამომიკითხავს ასეთი შვენება, თორემ თვალით არ მინახავსო!

მერმე ამით რა გინდა რო სთქვა!

შიშმა შეპყრო ქალი.

—ჩვენს ბედს ძალლი ვერ დაჰყეფს... ოქრო-ვერცხლში ილივლივებ.. მე კიდევ. სახელ და სახრავი!

—ვერ გამიგია რას უნდა ნიშნავდეს შენი სიტყვები!

—აი რა. დაატკბე წუთით მისი ვნებათა ღელვა. ბედს ეწევი, ბედს ვეწევით. ცხოვრება ისეთ ნაირათაა მოწყობილი, რომ ის ვინც ამ ცხოვრების მაღლა საფეხურზეა, მას უნდა ვემსახუროთ, რომ ვიცხოვროთ... ერთხელ, მხოლოდ ერთხელ და...!

—საზიზღარი, მრუში, დალალი!

—ცხოვრება დალალობს და მე რა გამონაკლისი ვარ. მეც მისი დალი მაკრავს, მისით ვსუნთქავარ!

—შენისთანა დალალებია მხოლოდ ასეთი!

—შენ?

—მე არა!

—დამხედეთ წმინდანს... ცხოვრება გინდოდა და ჩემთან მოდი, გაძეხი და ეხლა?

—ფუ, მეზარები რომ იცოდე!

—თუ გინდა შემიზარე, იყოს შენი ნება, ოღონდაც ერთხელ დააცხრე ვნება ჩვენი ბრძანებელისა და ჩვენც დავსტკბებით... სხრავი არ აგვცდება... ვხრათ და ვხრათ ჩემო შეუდარებელო!

—როგორ მეზარები რომ იცოდე!

—თუ გულში ილოცებ ჩემთვის!

—მე ადამიანი ვარ, ქალი ვარ, როგორ მკადრებ ამას!

—ქალი სანამ შვენიერია, ფირუზის ფასად ღირს... შენც გაიხარე ცხოვრებით, სხვაც დაატკბე, შენც დასტკბები!

—საზიზღარი!

—ქალაქის მბრძანებელი სახლში დავიწვიე, და მეთანხმა... ბედნიერი ვიქნები... თავნიდან რას დავკარგავთ, მოვიგებთ ბევრს... გული გაუხსენ!

—გაეთრიე მეთქი შე საძაგელო. უხამსად ჩათესილო ჩვენს წიაღში... შენ რა იცი ჩვენი მიწისა, ჯილაგ გაწყვეტილო! სთქვა ხათუნამ.

—არაფერია. ყველაფერი გაივლის. ეხლა მერჩი, თორმ მერმე მადლობელი დარჩები!

—გაეთრიე მეთქი!

შესძახა ხათუნამ და ბიგაევი წინ გაიგდო. როცა ეზოდან კიბეზე ჩადიოდა, ვაზა დაუმიზნა, თავზე დაათხლიშა. ხათუნა მარტო დარჩა და მოსთქვამდა საცოდავად, მოსთქვამდა დაკარგულ ბედზე, ბინძურ სინამდვილეზე და მოსალოდნელ მსხვერპლზე.

—უშანგი მიშველე, შენ სათაყვანებელ ხათუნას მარწუხებით გლეჯენ... მისთვის ხანჯალურებს სჭედენ და დილეგს უმზადებენ ურჩობისათვის. სადა ხარ შენ, მომეშველე, გადამაფარე შენი კალთა... სადღა არიან შენი მკლავები, მარიობისთვეში მარჯვეთ რომ იქნევდი. ტფილისში შეფიცულთა რაზმით შემოჯირითებას რომ ლამობდი... რუსთაველის გამზირზე ტრიუმფს რომ ელოდი?

მოსთქვამდა ქალი და ცრემლში ლივლივებდა.

●

უშანგის გადასახლების ვადა შეუსრულდა... ათ წელზე მეტი დაჰყო უშანგიმ ამ დასაქცევში. განთიადი იქნებოდა მატარებელი ზღვის პირა ქალაქის სადგურზე რომ შემოგორდა. სამშობლოს ნახვამ გული აუტოკა... სადგურზე სიხარულის ცრემლები დააფრქვია.

...შენი ჭირი შემეყაროს ჩემო ქვეყანავ... შენთვის მომაქვს კოცნა და სიყვარული! აღმოხდა უშანგის გულიდან.

...აგერ რიონი, მთიდან მოვარდნილი და კოლხეთის ლაქაშებში ლოდივით დაშვებული... უშანგი ქალაქშია... დამხვდება ნეტავი ჩემი ვარდი, რომლის ერთი გამოხედვა მთელ სიცოცხლეს მირჩევია? ვაი თუ ჩემს ედემში ვილაც გარეულმა ჩემი უჰკნობი ვარდი მოწყვიტა, მაშინ?

გრძნობებმა ფრთები შეასხა... ეხლა უშანგი აღარ მიდის ქუჩაში, არამედ მიჰქრის... გადაჭრა ერთი უბანი, მეორე, მესამე, აგერ ის სახლი, სადაც ხათუნა და უშანგი ცხოვრობდნენ... მივიდა, გაუბედავად ზარის ფოლაქს თითი დააჭირა. წუთიერი ლოდინი საუკუნედ გაუხდა. სუნთქვა შეეკრა. ზარას ერთხელ კიდევ დაადო თითი. ზედასართულის ფანჯრიდან ვილაც უცხომ გადმოიხედა, უცხოდ ჩასახლებულმა.

—ვინა გნებავთ? სთქვა უცხომ უცხო ენაზე.

—ხათუნა მაჩანელი! დაკოდილივით გაეპასუხა უშანგი.

—იგი აქ არ ცხოვრობს! სთქვა უცხომ და მისამართი მისცა.

უშანგი მთელი სხეულით აკანკალდა... სჩანს ბინიდან გადაუსახლებიათ ხალხისაგან განდგომილის მეუღლე! სთქვა თავისთვის მან. დიდი ხეტიალის შემდეგ, უშანგიმ ხათუნას ახალ ბინას მიაგნო.

—უშანგი! შეჰკივლა ხათუნამ და ხელივით ჩაირბინა კიბე.

—მითხარ ხათუნი აქ რა გინდა... რისთვის დაგიტოვებია ბინა... თინა სად არის? მიაყარა კითხვა უშანგიმ.

—ამაზე მერმე... ეხლა კი... დაიბნა ქალი, გარედ მომიცადე.. ან ბაღში წადი... მე იქ მოვალ აქ არა...! ანდა დაიცა... იყავი აქა!

—ხათუნი!

გადაეხვივნენ ერთმანეთს. კოცნით ამოულამეს ერთმანეთს ცრემლები. როცა უშანგიმ ყველაფერი უამბო გადახდილი, ეხლა ხათუნას გამოჰკითხა აქაური. ქალმა პასუხის ნაცვლად ტირილი დაიწყო.

ხათუნამ ყველაფერი თქვა... არაფერი დაუმალავს ბედკრულს. ეხლა ამ ბაღში ხათუნას ხმის სანაცვლოდ უშანგის სევდის აკორდი მოესმა... უშანგის თვალთ დაუბნელდა.

მიშველეთ! გაისმა ხათუნას სასოწარკვეთილი ხმა.

უშანგიმ ორი თვე დაჰყო საავადმყოფოში. ხათუნა არ შორდება მას. იგი დავს დასტრიალებს ბედკრულს. ხათუნას თვალები სდარაჯობენ უშანგის გაცრეცილ სახეს.

’ოდესღაც მთელ სამყაროს შევნატროდი... მზით ფეთქავი ცეცხლის სხივი ჩემს ოცნებაში აელვარდებოდა ხოლმე, ეხლა კი?“ ამოიოხრა უშანგიმ.

—დამნაშავე ვარ შენთან, იცის გულთამხილავმა! სთქვა ხათუნამ.

—მე არ გადანაშაულებ ხათუნი! ატირდა ვაჟკაცი. აქვითინდა ხათუნაც. იგი დასტიროდა დაკარგულ ოცნებას, მწარე სინამდვილეს. მთელი ღამე ხათუნა უშანგის არ მოშორებია.

განთიადისას მასაც წასთვლიმა ცოტა.

—დაიტანჯებით! ასე გამუდმებული მოუსვენრობა არ გარგებთ! ხმა მოესმა ხათუნას. მის წინ მთავარი ექიმი ლაფარეული იდგა.

—მითხარით ექიმო, ნუ დამიმალავთ ისედაც ცხოვრება გამწარებულს. უშანგი მორჩება თუ არა?

—ცდას არ დავაკლებთ, შეილივით მოუვლით! მიუგო ლაფარეულმა. ხათუნამ რატომღაც უიმედობა ამოიკითხა ექიმის სახეზე. ქალის წინ სასიკვდილო ორგია გაიშალა.

—მიშველეთ ექიმო, დაიხსენით ამ საცოდავი ადამიანის სიცოცხლე! მთავარმა ექიმმა ქალი გარეთ გაიყვანა. სჯობიაო ავადმყოფისათვის ერთხანს მარტო დატოვებაო.

უშანგიმ დანარჩენი ღამეც შფოთში გაატარა... ექიმები თავზე ევლებოდნენ. გონება წასული ხათუნა დერეფანში გაიყვანეს. როცა გონს მოვიდა, წამოვარდა და უშანგის ოთახის კარებს ეცა... ექიმის თანაშემწე გადაელობა. ხათუნას გონი დაეთალხა... მთელი ტანით აიშალა... „ალბათ ყველაფერი გათავებულია“ სთქვა ხათუნამ და ღამის წყვდიადში გაიჭრა. ხათუნი მიენდო გულის ღელვას... წყვდიად ღამეში გადასჭრა დამუნჯებული შარაგზა და ფაზისთან გაჩნდა. გაჰქანდა ნავთან... ნავი ახსნა და შიგ ჩაეშვა... ქალი გახელდა... გახელებული უსვამს ნიჩბებს და პირქუშა ტალღებს გიჟივით მიაპობს... გახელებული არღვევს წყლის ნაპრალებს და პონტოსის მღელვარე ტალღებს მისცა ნავი... ნავი ტალღებმა გააცურეს... იგი აგორებულმა ტალღებმა აიტაცეს... ხათუნა უსვამს ნიჩბებს და წინ მიგელავს. უცბათ ნავი გადაიზნიქა... გვერდზე გაწვა და ხათუნა აქაფებულ ზღვის ტალღებში ჩაინთქა.

**მინდია ლაშაური.**

## სასიამოვნო მოვლენა.

ბავარიის რადიომ თავის დაარსებიდან 40 წ. განმავლობაში სულ პირველად 1963 წ. აპრილში გადასცა ქართული სიმღერები. გადაცემა მანმეორებულ იქმნა გერმანიის ფედერატიული სადგურის მიერ და გერმანელ მსმენელებში გამოიწვია სენსაცია.

ამის გამო ერთი კრიტიკოსი ქ. ჰესენიდან სწერდა: ქართული სიმღერების გადაცემა შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესოდ ჰესენის რადიო სადგურის ისტორიაშიო. გერმანელ მსმენელების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იმ ქართულმა სახალხო სიმღერებმა, რომლებიც მუსიკის მცოდნეთა აზრით შექმნილია ჩვენს ერაზე ადრე და დღემდე დარჩენილა მხოლოდ საქართველოში. მაგ. გუნდური მღერა ’ოდოია“, რომელშიაც ხალხი (ძველი ქართველები) ნაყოფიერების ღმერთს უმღეროდნენ, ან შვიდ ხმიანი სახალხო სიმღერები, როგორც „ხასან-ბეგურა“ და სხ.

პირველი გადაცემებით გამხნევებულმა ბავარიის რადიო სადგურმა, თავის მეორე პროგრამაში,—ნოემბრის 16-ს, გადასცა ნაწყვეტები ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“ მიღებული წერილები ადასტურებენ, რომ მსმენელებში მას დიდი მოწონება ჰქონდა.

უღრმესი მადლობა ეკუთვნის, როგორც გერმანელ, ისე ამ საქმის ქართველ ინიციატორებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲘᲥᲐᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ.

### საბჭოთა პრესა: „ყეფა ჭიშკრის ქვეშიდან".

ამ სათაურით თბილისის რუსული გაზეთი „ზარია ვოსტოკა", გასული წლის ნოემბრის 13-ტის ნომერში მკაცრად ილაშქრებდა „ხალხის მტრების" წინაალმდეგ და ამხელდა მათ.

წერილი იწყება საკავშირო (იგულისხმება რუსული) კომუნისტური პარტიის ცეკას 1963 წლის ივნისის პლენუმზე ლ. ილიჩევის მიერ წარმოთქმული სიტყვებით: „ჩვენ სრული თავისუფლება გვაქვს ღია მსჯელობის და აშკარა კრიტიკის, ეს შესანიშნავია, მაგრამ არიან უპასუხისმგებლო ადამიანები, რომლებიც ჩვენი საზოგადოების საზიანოთ იყენებენ ამ თავისუფლებასო. ისინი მღერიან სხვის მუსიკაზე. აშავებენ ყველაფერს რაც საბჭოურია; ავრცელებენ ბინძურ ჭორებს და ბოროტ ანეგდოტებსო". ილიჩევის ეს აზრი „ზარია ვოსტოკას" კორესპონდენტს გამოუყენებია და გვიმტკიცებს, რომ კომუნიზმის ყველაზე დიდი მიღწევა სიტყვის თავისუფლებაა, მაგრამ არიან თურმე საქართველოში ადამიანები, რომლებიც ამ თავისუფლებით ბოროტად სარგებლობენ და მუდამ მზად არიან იჭორიკანონ მასზე, რისთვისაც ჩვენ (კომუნისტები) ვცხოვრობთ და ვიბრძვით და, რაც წმიდათ გვწამს"-ო და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი მაგალითები: 1. შეგროვდებიან მეგობრები დროს გასატარებლად, მხიარულობენ, ცეკვავენ; წარმოსთქვამენ სასიამოვნო სადღეგრძელოებს. იცით ახალი ანეგდოტი?" გაისმის უცებ ვიღაცის ხმა და იწყება სასაცილო სამოსელში გახვეული სიბოროტით სავსე ცილისწამება ჩვენს წეს-წყობილებაზე. მსმენელებს ისეთი გრძნობა აქვთ თითქოს მათ სულში ჩააფურთხესო— განაგრძობს „რიგიანი კორესპონდენტი, მაგრამ არც ერთი არ დატუქსავს ჭორებისა და სისაძაგლის მოყვარულს. აი საზოგადოების სული და გული შოთა ივანეს-ძე დ. „ჩურჩულით (რომელსაც ქანდარის უკანასკნელ რიგშიც კი გაიგონებთ) უამბობს საზოგადოებას თავისი მდიდარი და დაულეველი მარაგიდან ანეგდოტპასკვილებს. ეს შოთა დ. დიდ ხანს იყო გამგის მოადგილეთ ერთ მაღალ დაწესებულებაში, რომლის დიდი დანიშნულება არის ადამიანების იდეოლოგიურად აღზრდა. სამსახურში ის თავის ფუნქციებს წესიერად ასრულებდა, მაგრამ, როგორც კი გადააბიჯებდა თავის კაბინეტის ბჭეს ბინძური ანეგდოტების და პასკვილების გავრცელების გარდა ყველაფერს ივიწყებდა. ასეთი ვაჟბატონების, როგორც შოთა დ. და მისი მსგავსნი,—ანეგდოტები უმალ ფრთებს ისხამენ და ერთი მდაბიოს ენიდან მეორეზე ელვის სისწრაფით გადადიან. ასეთებს თუ გინდ პურს ნუ აჭმევთ, ოღონდ მიეცი საშუალება **ენა მოიფხანონ**, შეთხზან ზღაპრები. რომლებიც ხშირად ოკეანეს გაღმიდან არიან მოფრენილიო"

2. აი კიდევ მეორე ბოროტმომქმედი ქართველი მოქალაქე ვინმე Ი. აბასთუმანის სანატორიუმის ფოსტის საკავშირო განყოფილების ყოფილი უფროსი. ავრცელებდა ანტისაბჭოთა თხზულებებს, ნასესხებს იმპერიალისტურ რადიო მეჭორეებისაგან. ამხანაგები 'Ი"-ს არიგებდნენ, უხსნიდნენ, რომ „ის და მისი მსგავსნი დიდი განძია ოკანეს გაღაღმა მყოფ პროპაგანდისტებისათვის; ურჩევდნენ შეეწყვიტა ეს ლაყბობა. მაგრამ ფუჭი შრომა გამოდგა. პირიქიდ, მისი სიყვარული ცილისწამებისადმი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ისე შორს წავიდა, რომ მაგნეტოფონის ლენტებზე გადაიღო უცხოეთის რადიო პასკვილები. ამრიგად დადგა ბოროტ-მოქმედების გზაზე და მივიდა სასამართლომდე. ამ მაგალითების მოყვანის შემდეგ, ალბად სხვების შესაშინებლად ასკვნის: „უფროს ადამიანებს შეუძლიანთ საუცხოოდ წარმოიდგინონ, თუ რა მოუვიდოდათ ასეთ „მდაბიოთა" ლაყბობის მოყვარულებს 25 წ. წინად. ახლა აღარ არის 1937 წელი. ახლა სხვა დრო დადგა. ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან გულგრილად უყუროთ, თუ მოლაყბეები, როგორ ჭორიკანობენ ჩვენს პატარა ნაკლებზე; როგორ დაგვცინიან და მასხარად იგდებენ მას რაც ჩვენთვის წმინდათა-წმინდაა, ტალახში სვრიან მას, რაც ჩვენ შრომითა და ოფლით მოვიპოვეთ. ჩვენ არ გვაქვს უფლება დავრჩეთ გულგრილად ასეთი რამეების წინაშეო".

დიაღ ეხლა 1937 წ. არ არის, მაგრამ რა შეიცვალა იმით, რომ 1964 წელია? რუსული გაზეთი და მისი კორესპოდენტი ახლაც ხომ თავისივე პირით აღიარებენ, რომ ქართველები ანეგდოტების თქმისთვის, ე. ი. ხუმრობისათვის, უცხოეთის რადიოს მოსმენისათვის და სხ. სამსახურიდან მოუხსნიათ, პასუხისგებაში მიუციათ და გაუსამართლებიათ. ისენი მალავენ თუ რა სასჯელი გამოუტანეს ამ „დანაშაულისათვის", ჩვენ კი სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ ასეთ და მრავალ მსგავს შემთხვევებში, ციმბირში, ყაზახსტანში და სხვა „შორეულ ადგილებში" მრავალი წლებით გადასახლებაა. ახლაც ხრუშჩოვის დროს, როგორც სტალინის ეპოქაში, საბჭოთა დიდი თუ პატარა დიქტატორები, ურცხვად გაყვირიან, რომ მათი ყველაზე დიდი მიღწევა იყო და არის ადამიანის თავისუფლება, იმავე დროს სწორედ ადამიანის თავისუფლებას სთელავენ ფეხქვეშ უდიერად. ხუმრობასაც კი დანაშაულათ უთვლიან. ეხლა, როგორც წინეთ, უცხოეთის რადიოს მოსმენა უდიდეს ბოროტმოქმედებათ ითვლება. ეხლაც ყველაფერი „საბჭოურის" კრიტიკა და კამათი, არამც თუ აკრძალულია, არამედ სასტიკად დევნილია. საბჭოთა უღლის ქვეშ მყოფ ადამიანებს, ეხლა, როგორც წინეთ, აქვთ ერთი რამის ფართო თავისუფლება: ეს არის საბჭოთა „ბელადის" ქება-დიდება. ეს არის ის დიდი „მიღწევა", რომელიც რუსულმა საბჭოთა რეჟიმმა უხვად მოუტანა საქართველოს.

ქართველი კომკავშირელები გახდნენ უსაქმურები და ხულიგნები.

მოსკოვის გაზეთებიც არ ივიწყებენ ქართველებს და ხშირად ლაპარაკობენ ქართველ კომუნისტების და კომკავშირელების „კომუნისტურ თავდადება-ენტუზიაზმზე". მოგვყავს მხოლოდ ორი დამახასიათებელი მაგალითი:

1. „კომსომოლსკაია პრავდა" (მოსკოვი 25 მაისი 1963 წ.). სათაურით 'უსაქმურები მოხალისეების როლში" გვაუწყებდა: „საქართველოს კომკავშირის წევრი რევაზ ფრუიძე ჩაეწერა და წავიდა სამუშაოთ ზემო-ტაგილის ჰიდრო-ელექტრონის მშენებლოაბზე. თვე ნახევრის შემდეგ მოვიდა ბრძანება, რომ ის დაუყონებლივ დაეპატიმრებინათ და გაეგზავნათ თბილისის ციხეში,—სამშობლოში ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის პასუხის საგებათ. „კომსომოლსკაია პრავდა" აგრძელებს: ეს არ არის გამონაკლისი, ან შემთხვევითი მოვლენა. მშენებლობაზე სამოუშაოთ „მოხალისეთ" მოვიდა მაისში 49 ქართველი კომკავშირელიო. მისვლის პირველ დღეებშივე მათ დაიწყეს სამუშაოს მასიურად გაცდენა. იქცეოდნენ ყოვლად უწესოდ, ბინაზე და კომკავშირის კლუბშიო. მათზე მიჩენილი საერთო საცხოვრებელი ბინა გადააქციეს ლოთობის, მუდმივი აყალმაყალის, ქურდობის და სიბინძურის ბუდეთ. ნახევარ წელიწადში, ამ ჯგუფიდან 472 სამუშაო დღის გაცდენა მოხდა. ამ ჟამად აქ დარჩა მხოლოდ 20 კაციო. დანარჩენები თავისი სურვილით სამარცხვინოდ გაიპარნენ (ისე როგორც ალავერდაშვილიო) ამ დარჩენილ ოცი კაციდან ხუთი გასამართლებულ და დასჯილ იქმნა ადგილობრივ სასამართლოდანო. ცუდ სამსახურს გვიწევენ ჩვენ საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციებიო"

2. ილია ფიფიას სახელი აღნიშნა მოსკოვის „პრავდა-იზვესტიამ" და თბილისის „ზარია-ვოსტოკა-კომუნისტმა". მისი პიროვნებით დაინტერესდნენ და შენიშვნები მოათავსეს ევროპა-ამერიკის დიდმა ჟურნალ-გაზეთებმაც. საბჭოთა პრესა ერთხმად გამოსთქვავდა მწუხარებას, რომ ეს პიროვნება ციხეში, ან კონცლაგერებში ვერ დაალპეს და თავისუფლად დადის ახლაც. ამ გარემოებამ ჩვენც დაგვაინტერესა და იმავე საბჭოთა პრესის სხვადასხვა დროს მოწოდებული ცნობების საშუალებით გამოვარკვიეთ შემდეგი: ზუგდიდის რაიონის 20-ცე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას აქვს ხრუშჩოვის სახელობის მეღორეობის ფერმა. ამ ფერმის ბრიგადირია ილია ფიფია. წევრი კომკავშირის 1937 წლიდან, კომუნისტური პარტიის 1941 წლიდან (ფრონტზე შესულა). ომი გაუთავებია კაპიტნის ხარისხით. ორჯერ ომის გმირი, დაჯილდოვებული მედლებით და ორდენებით; ომის ინვალიდი, მარჯვენა ფეხი მუხლზევით გერმანულ ყუმბარას წაუგლეჯია ბერლინის აღების დროს. რა ჩაიდინა მან ისეთი, რომ მთელი საბჭოთა პრესა აალაპარაკა? ზემოთ ხსენებული მეღორეობის ფერმა მასში მომუშავე კოლმეურნეებს საცხოვრებლად საკმაო შემოსავალს ვერ აძლევს. ამიტომ ადგილობრივ კომუნისტური ორგანიზაციის და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა (ერთი და იგივე პირებია) გადაწყვიტეს გამოეყოთ ბრიგადირი ი. ფიფია მთელ საბჭოთა კავშირის სივრცეზე კომერციული ოპერაციების საწარმოებლად: რადგან რუსული იცის, ყოფილი კაპიტანია, ომის გმირია, ინვალიდია, ორდენოსანია და სხვადასხვა. ფიფია შეიარაღებული პარტიული და კოლმეურნეობის სათანადო მოწმობა-მანდატებით, დატვირთული ორი ტომარა დაფნის ფოთლით ჩასვეს თვითმფრინავში და მეორე დღეს ყაზანში ჩაფრინდა, სადაც დაფნის ფოთოლი კარგ ფასებში უცბად გაიყიდა. ეს საქმე ყველასათვის სარფიანი აღმოჩნდა. ამავე დროს ი. ფიფიამ გამოარკვია, რომ დაფნის ფოთლის ფასი გეომეტრიული პროგრესიით იწევს ჩრდილო-აღმოსავლეთით, მანძილთან შედარებით. ერთხმათ გადაწყდა საქონლის რეალიზაციის ბაზა გადაეტანათ ასეული და ათასეული კილომეტრით შორს ამ მიმართულებით. ილიამ ამის შემდეგ თავის ტომრებით ირკუტსკში ამოყო **თავი. საქონელი აქ უფრო ჩქარა წავიდა** რომ საქმეში არ ჩარეულიყო ირკუტსკის მილიცია:

„მოქალაქე, შენი მოწმობები. ფოთოლს ძვირად ყიდით, წამომყევით მილიციაში". არის, უპასუხა ფიფიამ, გამოგყვებით მილიციაში, მაგრამ ჯერ ნება მომეცით დეპეშა გავგზავნო, მე ამის უფლებას მაძლევს საბჭოთა კონსტიტუცია და ილია იქვე სწერს დეპეშას „რ. ს. ს. ფ. რ. მიწათ მოქმედების მინისტრის მოადგილე ამხ. ჩესნაკოვს. ირკუტსკის მილიცია მიკრძალავს გავყიდო საკარმიდამო სივრცეზე მოწეული დაფნის ფოთოლი. გთხოვთ განკარგულებას. ზუგდიდის რაიონის ხრუშჩოვის სახელობის მეღორეობის ფერმის ბრიგადირი, ორჯერ ომის გმირი, ორდენოსანი, კომუნისტი, ინვალიდი, ყოფილი კაპიტანი, და სხ." მილიციონერები ამ დეპეშის წაკითხვის შემდეგ საგონებელში ჩავარდნენ: 'ეშმაკმა წაგიღოს შენც და შენი დაფნის ფოთოლიც". თათბირის შემდეგ ნება მისცეს, მათ ზედამხედველობის ქვეშ, „ნახევარ ფასათ" გაეყიდა. პირველთან შედარებით ეს ოპერაცია ნაკლებად სარფიანი აღმოჩნდა. ამიტომ ადგილობრივი ორგანიზაციების საერთო კრებაზე გადაწყდა: მომავალში ეს საქმე გაგრძელდეს მხოლოდ რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში, სადაც ილიას საბუთები 'ქვას აპობს". ილიაც თავის ტომრებით ისევ ნაცნობ ყაზანს ესტუმრა, მაგრამ დახეთ უბედურებას! ამ ჟამად აქაც მილიციამ გამოყო თავი. ირკუტსკის დიალოგი აქაც ორივე მხრიდან, 'სიტყვა-სიტყვით განმეორდა. „ოქმს შეგიდგენთ, პროკურორს გადაგცემთ, შემდეგ გინდ დეპეშა გაგზავნე და გინდ თავი ქვას ახალეო" იყო პასუხი. ილია მილიციის სამმართველოს ეზოში შეიყვანეს. მილიციონერი უფროსთან მოსახსენებლად შევიდა. ილია მიხვდა, რომ აქ მისი გაზეპირებული ფრაზა აღარ გადის. ტომრები იქვე დაცალა, ასანთს გაჰკრა... ხმელ ფოთოლს ცეცხლი ელვის სისწრაფით მოედო. იქ მყოფი რუსები ცეცხლ წაკიდებულ დაფნის ფოთოლს მიესივნენ: „გიჟია ვიღაცაა, ეს ხომ სანთლით საძებნელია"! ილიამ თავის ყავარჯენი მოიმარჯვა და რუსებს დაერია: „არ გაჭმევთ რუსებო „ბორშჩს" ჩვენი დაფნის ფოთოლითო" ყვიროდა ის. დააპატიმრეს, ოქმი შეუდგინეს, სამი ბრალდება წაუყენეს: სპეკულაცია, მავნებლობა და ხულიგნობა. პროკურორმა მიიღო რა მხედველობაში მისი ორდენები და „დამსახურება", სამი თვის ყაზანის ციხეში პატიმრობის შემდეგ გაანთავისუფლა.

ილია ფიფიას სახელი და მოქმედება გაზეთში გასაწერი გახდა და მთელმა მსოფლიომ გაიგო. მაგრამ ილიას რა? ჯიბე და ტომრები ცარიელი და დაღონებული საბჭოთა მოქალაქის ბედის გინებით და წყევლა-კრულვით დაბრუნდა საქართველოში. სწორეთ ამიტომ „სათანადო ორგანოები" და საბჭოთა პრესა მწუხარებას გამოსთქვამდნენ, რომ ეს „მავნებელი", „ხალხის მტერი" და „კომუნისტებზე მიტმასნილი ბნელი ელემენტი" აქაც იოლად გამოძვრა.

გრ. აბულაძე.

## ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲡ!

ხრუშჩოვის საახალწლო მილოცვა დასავლეთის თავისუფალი ქვეყნების მიმართ შეიცავდა ძველის გადაცოხნას: სრულიადი განიარაღება.

ისპანიის სახელმწიფოს მეთაურმა ფ. ფრანკომ უპასუხა: „სრული განიარაღება თავისთავად აუცილებელია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, თუ მას თან არ ახლავს მორალურ გრძნობათა განმტკიცება დაშენებული მორალურ პატივისცემაზეო".

საჭიროა ისეთი ატმოსფეროს შექმნა, როდესაც ადამიანს შეეძლება უშიშარი, მყუდრო ცხოვრება და ამას თავისთავად მოჰყვება განიარაღება. მოსკოვის ფსიქოლოგიური თავდასხმები, უიარაღო თვითმფრინავების ჩამოგდება, „განთავისუფლებისთვის ბრძოლების" ხელის შეწყობა, მეხუთე კოლონების და საჯაშუშო ორგანიზაციების გაძლიერება არ იძლევა მშვიდობიანი ცხოვრების არც ერთ პირობას და, მაშასადამე, განიარაღებაზე ლაპარაკი უბრალო ლაყბობა და დროს დაკარგვა გამოდის.

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲗᲕᲘᲡᲢᲝᲛᲝᲨᲘ.

იანვრის 6-ს ქართული სათვისტომოს საკუთარ სახლში, ქართველ ბავშვებისათვის გაიმართა შობის ხე. 25-დე ქართველ გოგო-ბიჭებს თან ახლდნენ მშობლები. უბავშვო ოჯახებიც მრავლად დაესწრნენ, რათა დამტკბარიყვნენ ქართული მომავალი თაობის ჟივილ-ხივილით.

სათვისტომოს გამგეობის დავალებით 'საბავშვო დილას" ხელმძღვანელობდა ბ-ნი ი. მენთეშაშვილი. ბავშვებმა წარმოსთქვეს ლექსები, იმღერეს, იცეკვეს და სიამოვნებით დაღლილ-დაქანცულებს გამგეობა გაუმასპინძლდა მსუბუქი საუზმით და საჩუქრებით.

***

თებერვლის 25-ს, საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობის 43 წლისთავის აღსანიშნავად, სათვისტომოს გამგეობამ მოიწვია საჯარო კრება.

კრებას თავმჯდომარეობდა გამგეობის მდივანი ბ-ნი ს. გაბუნია, რომელმაც აღნიშნა შეყრილობის მიზანი და დანიშნულება, რის შემდეგაც სიტყვა მიაკუთვნა მომხსენებელ ალ. ჩხენკელს.

მომხსენებელმა მოკლე ანალიზი გააკეთა დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921 წ.) შინაგანი ვითარების, „რათა უფრო ნათელი გახდეს დაკარგული საუნჯის ღირებულებაო" და შემდეგ ხანგრძლივად შეჩერდა რუსეთის მზაკვრულ პოლიტიკაზე და მის საბედისწერო შედეგებზე, რომლის ხელმეორე მსხვერპლი შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა.

მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს: ბ.ბ. ინჟ. ვ. კობახიძემ, გ. ჯაყელმა, ი. გაჟონიამ, გ. აბულაძემ და მ სინდიკელმა

კრებამ ულრმესი მადლობა გადაუხადა გამგეობასაც და მომხსენებელსაც.

ღრმე მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ იანვრის 5-ს პარიზში გარდაიცვალა

**ელენე გომართელი.**

„ქართული აზრის" რედაქცია თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ თებერვლის 19-ს, პარიზში, მოულოდნელად (გულის შეტევით), გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პატრიოტი

**არჩილ ზურაბიშვილი.**

„ქართული აზრის" რედაქცია თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და მეგობრებს.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ თებერვლის 3-ს, პარიზში გარდაიცვალა ქართული ჯარის ყოფილი კაპიტანი

ალექსანდრე ქურციკიძე.

„ქართული აზრის" რედაქცია თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და მეგობრებს.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ მარტის 3-ს, აბანდონში, (საფრანგეთი) გარდაიცვალა

დიმიტრი (ჭიჭიკო) მდივანი.

„ქართული აზრის" რედაქცია თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებს მის ნათესავებს და მეგობრებს.

„ამერიკულ-უკრაინული პრესა" ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს ქართულ ენაზედაც.
114 St. Mark,s Place New York 9, N. Y.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

*Mr. G. Djakeli*

*561 W. 141 St., N. Y. C.*

ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

*EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.*
*EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.*